www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 6 ივლისი, 2012 წელი. | №3057 (150) | ფასი 50 თეთრი

"პოლიტიკაში ოლიგარქების ყოფნა არასდროს მთავრდება კარგად"

მარი ახსიაშვილი

ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ დებატები გაიმართა. სტრასბურგში ევროპელმა კანონმდებლებმა საქართველოს შიდაპოლიტიკაზე, ოქტომბერში დაგეგმილ არჩევნებსა და ქართულ ოპოზიციაზე ისაუბრეს. მათ აღნიშნეს საქართველოს პროგრესი დემოკრატიის განვითარების კუთხით და ხელისუფლებას მისი კიდევ უფრო გაძლიერებისკენ მოუწოდეს. დებატებზე "მასთ ქერის" პრინციპის მიღება დადებითად შეაფასეს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

პარლამენტმა ახალი და ძველი პრემიერ-მინისტრების უფლებები განსაზღვრა

დათო გამისონია

პარლამენტის რიგგარეშე სესია სახელმწიფო ჰიმნით უკვე მეორედ დაიხურა. პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ იმედი გამოთქვა, რომ არდადეგები ამჯერად მაინც ხანგრძლივი იქნება.

გუშინდელი სხდომის დღის წესრიგში მთავარი განსახილველი თემა მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრა იყო. პრემიერ-მინისტრად ვანო მერაბიშვილის დამტკიცების შემდეგ, პარლამენტმა მთავრობის უფლებებს დაჩქარებული წესით გადახედა.

გაგრძელება
მე-2 გვერდზე

უკრაინაში საპროტესტო ტალღა აგორდა

ჩხუბი რადაში კანონის მიღების დროს

ივა შილაკაძე

მმართველი "რეგიონების პარტიისა" და მისი მოკავშირეების მიერ უკრაინის უმაღლეს რადაში 3 ივლისს ძალით, რეგლამენტის და პროცედურის დარღვევებით "გათრეულმა" სკანდალურმა კანონმა "სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის საფუძვლების შესახებ", ქვეყანაში სერიოზული ვნებათაღელვა გამოიწვია (უშუალოდ კანონის მიღების პერიპეტიებსა და ოთხშაბათს მიმდინარე მოვლენებზე "24 საათი" გუშინ დაწვრილებით წერდა).

გაგრძელება
მე-6 გვერდზე

"თბილისის საოპერო ფესტივალი" პირველად

ზურაბ ოიკაშვილი

ვალერი სოკოლოვი

9-25 ივლისს კონსერვატორიის დიდ დარბაზში პირველად გაიმართება საერთაშორისო ფონდის "თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის" მიერ დაფუძნებული "თბილისის საოპერო ფესტივალი".

"თბილისის საოპერო ფესტივალი" ოთხ ღონისძიებას მოიცავს. 9 ივლისს გაიმართება კონცერტი, რომლის პროგრამაშია პეტრე ჩაიკოვსკის "სერენადა" სიმებიანი ორკესტრისთვის და კონცერტი ვიოლინოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის. შემდგომი სამი საღამო დაეთმობა ჯუზეპე ვერდის ოპერებს - 15 ივლისს შესრულდება "ნაბუქო", 20 ივლისს "ატილა", 25 ივლისს "ტრუბადური" (წარმოდგენილი იქნება ოპერების საკონცერტო ვერსიები).

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6452⇓
1 ევრო	2.0679⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5746⇓
1 თურქული ლირა	0.9116⇓
100 რუსული რუბლი	5.1083⇓

თბილისი	33°C - 21°C
ქუთაისი	29°C - 18°C
თელავი	33°C - 16°C
ზუგდიდი	28°C - 17°C
ბათუმი	26°C - 17°C

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge

ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

"ტორვედომ" ყაზახებს ქუთაისურად უმასპინძლა

გვ. 11

ფასდაკლების კუპონი

აქცია ექსკლუზივი

24 საათი | Weekend | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | საქართველოს ფოსტა GEORGIAN POST

4 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით!
ექსკლუზიურად „24 საათის" და „Weekend"-ის მკითხველისთვის!

- ამოჭერი კუპონი და მიიღე ექსკლუზიური ფასდაკლება „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის" წიგნებზე „საქართველოს ფოსტის" პრესის ჯიხურებში მთელი საქართველოს მასშტაბით, თქვენთვის მოსახერხებელ ადგილას.
- აირჩიე 5 წიგნიდან შენთვის სასურველი 1 წიგნი და შეიძინე საუკეთესო ფასად!

ყვავი ცალიწინდა ოინბაზობს	~~5.90~~	4.90
ჰარი პოტერი და საიდუმლო ოთახი	~~9.00~~	4.00
ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები	~~6.90~~	3.00
ქართველები ამერიკაში	~~17.90~~	11.90
კავკასიის გეოპოლიტიკური ატლასი	~~15.90~~	11.00

ვანო მერაბიშვილმა ჭიათურის მოსახლეობას მთავრობის პროგრამა გააცნო

პრემიერ-მინისტრმა ჭიათურის მოსახლეობას მთავრობის ახალი პროგრამა გააცნო. ვანო მერაბიშვილი ჭიათურელებს გუშინ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან ერთად შეხვდა.

პრემიერის განცხადებით, მთავრობის ახალი გეგმის მიზანი, რომლის სახელწოდებაა "მეტი სარგებელი ხალხს", გასული რვა წლის განმავლობაში მიღწეული წარმატებების შედეგად გაზრდილი ბიუჯეტის ხალხის სასიკეთოდ გამოყენებაა.

"ამ პერიოდში ქვეყნის ბიუჯეტი 10-ჯერ და კიდევ უფრო მეტად გაიზარდა და დღეს უკვე დადგა დრო, რომ ისეთი საქმეები გავაკეთოთ, რომლებიც თითოეულ ქართულ ოჯახზე პირდაპირ აისახება და მათთვის ხელშესახები იქნება," - განაცხადა ვანო მერაბიშვილმა.

ჭიათურის მოსახლეობასთან შეხვედრაზე მან ახალი გეგმის სამი ძირითადი პრიორიტეტიც მიმოიხილა - უმუშევრობის წინააღმდეგ ბრძოლა, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა და სოფლის განვითარება. მერაბიშვილის თქმით, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ სოფლის გაძლიერებას დაეთმობა და ამისთვის ქვეყნის ბიუჯეტიდან ყველაზე მეტი თანხა გამოიყოფა.

საქართველოს პრეზიდენტმა ახალ მინისტრთა კაბინეტს პირველ სამუშაო დღეს ჭიათურის რაიონის სოფელ ხრეითის რეალობა უჩვენა. მიხეილ სააკაშვილი, მთავრობის წევრებთან ერთად, სოფლის მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ჭიათურაში ძალიან კარგი, დარბაისელი და შრომისმოყვარე ხალხი ცხოვრობს.

"ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის, რადგან ბავშვობის დიდი ნაწილი ჭიათურაში მაქვს გატარებული და არც ერთი წყობის დროს აქაურობას არაფერი ეშველა. დღეს ვერტმფრენები სპეციალურად არ დავსვით აქ, დავსვით ქვემოთ და მთავრობა 40-45 წუთი ვატარეთ ავტობუსით, რათა ენახათ თითოეული თქვენგანი რა გზას გადის, მაგალითად, ჭიათურამდე და უკან," - განაცხადა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილმა სოფელში უწყლობის პრობლემებზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ აღარ შეიძლება ადამიანებს ისევე სჭირდებოდეთ წყლის ზიდვა კილომეტრებიდან დოქებით, როგორც 5 საუკუნის წინ უწევდათ.

"ამის ჩვენება მინდოდა მთავრობისთვის," - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

რუსეთის საგარეო უწყებაში სააკაშვილის განცხადებას ეხმაურებიან

"საქართველოს ჯარის გაძლიერება კავკასიის რეგიონს საფრთხეს უქმნის," - ეს განცხადება გუშინ რუსეთის საგარეო სამინისტროში გაკეთდა. ლავროვის უწყების წარმომადგნელი ალექსანდრე ლუკაშევიჩი მიხეილ საკაშვილის მიერ ქუთაისის კადეტთა კორპუსში ძლიერი ჯარის შესახებ გაკეთებულ განცხადებას გამოეხმაურა. ლუკაშევიჩის შეფასებით, საქართველოს პრეზიდენტის განცხადება არაორაზროვნად ადასტურებს, რომ საქართველო ინარჩუნებს საბრძოლო რევანშისტულ განწყობას, რაც საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და სტაბილურობას კავკასიის რეგიონში. "არც ისაა შემთხვევითი, რომ თბილისი თავს არიდებს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ძალის გამოუყენებლობის შეთანხმების გაფორმებას," - ნათქვამია საგარეო უწყების ვებგვერზე გამოქვეყნებულ განცხადებაში. ლუკაშევიჩის თქმით, საქართველოს ავღანეთში კონტინგენტის გაზრდა ტერირორიზმთან ბრძოლისა და უსაფრთხოების მხარდაჭერისთვის არ სჭირდება. მისივე განმარტებით, "რაც უფრო მეტ ხანს გაგრძელდება ომი ავღანეთში, მით უკეთესია საქართველოსთვის, რომელსაც შესაფერისი პოლიგონი ექნება ჯარის სამხედრო მომზადებისთვის".

სააქციო საზოგადოებების საყურადღებოდ!

ლიცენზირებული რეგისტრატორი

სს „კავკასრეესტრი"

გთავაზობთ ფასიანი ქაღალდების რეესტრის წარმოების მაღალკვალიფიციურ მომსახურებას.

მომსახურების საფასური 17 ლარიდან.

თბილისი, მოსაშვილის ქ. №11 (ვაკის პარკთან) მე-2 სართ.
ტელ : 222-07-18; 222-07-49; ფაქსი: 225-18-76
ვებ-საიტი: www.kavkasreestri.ge ელ.ფოსტა: kavkasreestri@gse.ge

პარლამენტმა ახალი და ძველი პრემიერ-მინისტრების უფლებები განსაზღვრა

პირველი გვერდიდან

"საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონში შეტანილი ცვლილების თანახმად,

პრემიერ-მინისტრს საშუალება ექნება, ბრძანებების გამოცემის და თვითმმართველობებთან ურთიერთობის უფლებები სხვა უწყებებს გადასცეს.

ამასთან, პრემიერ-მინისტრი რეგიონული პოლიტიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობისთვის კოორდინაციის გაწევის უფლების დელეგირებასაც აპირებს. გარდა ამისა, საკანონმდებლო ცვლილებით, პრემიერ-მინისტრი მთავრობის კანცელარიას უხელმძღვანელებს. მთავრობის მიერ გადაწყვეტილების მიღების წესი კი, კანონის ნაცვლად, მთავრობის რეგლამენტით განისაზღვრება.

კანონპროექტის მომხსენებელმა, საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა რიგგარეშე სხდომაზე საკითხის განხილვისას აღნიშნა, რომ ცვლილება მთავრობის მუშაობას ხელს შეუწყობს.

ვიცე-სპიკერმა "ქრისტიან-დემოკრატებიდან" ლევან ვეფხვაძემ გააპროტესტა, რომ ცვლილებით პრემიერს თვითმმართველობებთან ურთიერთობების დელეგირების უფლება ეძლევა. **"პრემიერ-მინისტრს თვითმმართველობებთან ურთიერთობა აღარ სურს?** - კითხულობს ვეფხვაძე და განაგრძობს, - **ამ დროს კანონპროექტში წერია, რომ პრემიერ-მინისტრი კანცელარიის უფროსიც ხდება. მას როგორ ექნება კანცელარიაში შესული ნებისმიერი წერილის დახარისხების, დარეგისტრირების და ხელის მოწერის დრო?"**

ვეფხვაძე კანონპროექტის კიდევ ერთი ნორმის შესახებაც საუბრობს. მისი თქმით, მოქმედი კანონმდებლობით, მთავრობის სხდომა, მინიმუმ, თვეში ერთხელ იმართება, ცვლილების თანახმად კი, სხდომის ჩასატარებლად კვორუმი საჭირო აღარ იქნება. **"სხდომის ნაცვლად, ალბათ ახლა ერთი კაცი დაჯდება. იქნებ Skype-ის საშუალებით აპირებთ მთავრობის სხდომის ჩატარებას,"** - მიმართავს ხელისუფლებას ვეფხვაძე.

ოპოზიციონერს გია ხუროშვილი პასუხობს: **"ბატონო ლევან, თქვენ მთავრობის მუშაობასთან შეხება არ გქონიათ. დღეს მთავრობის სხდომები კვირაში ერთხელ იმართება და ამის გამო გადაწყვეტილების მიღება ჭიანურდება. ცვლილების ამოქმედების შემდეგ კი ნებისმიერი სამინისტროს ინიციატივა თითოეულ უწყებას ელექტრონულად გადაეგზავნება და სავალდებულო დასკვნებსაც მოამზადებენ. ეს იმდენად დეტალური საკითხებია, მათი კანონში გაწერა შეუძლებელია."**

როგორც ლევან ვეფხვაძე შენიშნავს, პარლამენტი იმისთვის ფუნქციონირებს, რომ კანონი მიიღოს. **"თუ მთავრობა ყველაფერს თვითონ დაამტკიცებს, ეს სწორი არ იქნება,"** - მიიჩნევს ვეფხვაძე.

რაც შეეხება თვითმმართველობებთან ურთიერთობებს, ხუროშვილის თქმით, მთავრობაში რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროც შედის, რომელიც აღნიშნულ ფუნქციას შეითავსებს.

საუბარში პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ჩაერთო. როგორც მან აღნიშნა, პარლამენტს არც ერთი ისეთი გადაწყვეტილება არ მიუღია, რომლითაც მისი ფუნქციები შეიზღუდებოდა. დავით ბაქრაძის თქმით, მთავრობა გადაწყვეტილებებითა და მისი შედეგებით არის პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული. **"თუმცა, მთავრობის საქმეა, გადაწყვეტილებას რა წესით, როდის მიიღებს - დილას თუ საღამოს,"** - შენიშნავს ბაქრაძე.

ლევან ვეფხვაძის აზრით, მთავრობის უფლებამოსილების საკითხი, შეიძლება, კვლავ აქტუალური გახდეს. ვეფხვაძის მტკიცებით, საპარლამენტო არჩევნების შემდეგ საქართველოს მონოპარტიული მთავრობა აღარ ეყოლება. მისი თქმით, ქვეყანაში ფართო პარტიული წარმომადგენლობის მთავრობა უნდა ჩამოყალიბდეს. **"თუ კოალიციური მთავრობა იქნება, რომელიმე მინისტრის დაუსწრებლად გადაწყვეტილებების მიღება არ გამოვა,"** - აღნიშნავს ვეფხვაძე.

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი განმარტავს, რომ "საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" კანონი ერთადერთია, რომელში ცვლილების ინიცირების უფლებაც დეპუტატებს არა აქვთ. **"პარლამენტმა იმთავითვე განსაზღვრა, რომ მთავრობის გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ ჩაერევა. ლევან ვეფხვაძის შენიშვნა არგუმენტირებული არ არის. საქართველოში აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება მკაფიოდ გამიჯნულია,"** - მიიჩნევს პავლე კუბლაშვილი.

პარლამენტის თავმჯდომარე ვეფხვაძის გამოსვლას უბრუნდება.

"მესმის, რომ ლევან ვეფხვაძეს ბოლო სხდომის ომახიანად დასრულება უნდა, თუმცა დღის წერიგი ხელს არ უწყობს, ამიტომ გადაწყვიტა, ოპოზიციური პოტენციალის რეალიზება სწორედ ამ კანონპროექტით მოეხდინა," - აღნიშნა ბაქრაძემ.

დავით ბაქრაძემ "ქრისტიან-დემოკრატების" წევრს მოუწოდა, მოვლენებს ნუ გაუსწრებს და მთავრობის სამომავლო მუშაობაზე თეორიულ მსჯელობას ნუ დაიწყებს. **"მონო და მრავალპარტიული მთავრობის შესახებ ისეთივე თეორიული მჯელობაა, როგორც ის, ბებია რომ ბაბუად გადაიქცეს, შვილიშვილებს რა ეშველებათ,"** - თქვა ბაქრაძემ.

დავით ბაქრაძემ ჟურნალისტებსაც მიმართა. **"ეს შეფასება არა მხოლოდ ოპოზიციას, არამედ რამდენიმე მედიასაშუალებას ეხება, რომლებმაც ამ კანონის ინტერპრეტირება მოახდინეს. ნუ შევეცდებით იმის დრამატიზებას, რაც სინამდვილეში, უბრალოდ, მთავრობის მუშაობის ორგანიზაციული საკითხია და უფლებამოსილებების ზრდას ნამდვილად არ ეხება,"** - ამბობს დავით ბაქრაძე.

ყოფილი პრემიერ-მინისტრის ფუნქციები

ახლად დამტკიცებული პრემიერ-მინისტრის უფლებების გარდა, პარლამენტმა ყოფილ პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურზეც იზრუნა.

პარლამენტმა რიგგარეშე სხდომაზე "საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ" და "ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" კანონებში ცვლილებები დაჩქარებული წესით დაამტკიცა.

ცვლილებით განისაზღვრა, რომ საინვესტიციო სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მთავრობის საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი იქნება. 30 ივნისს კი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ყოფილი პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური საპარტნიორო ფონდის ხელმძღვანელად დაასახელა. საკანონმდებლო ცვლილება ნიკა გილაურს ორივე თანამდებობის დაკავების უფლებას აძლევს. გარცელებული ინფორმაციით, საპარტნიორო ფონდის ოფისი პარლამენტის შენობის საპრეზიდენტო ფლიგელში განთავსდება.

საპარტნიორო ფონდი 2011 წელს შეიქმნა და მისი ფუნქციაა შეფერხებული პროექტების დასრულება ინვესტიციებითა და საბიუჯეტო სახსრებით. რამდენიმე თვის წინათ მიღებული საკანონმდებლო ცვლილებით, ფონდს უფლება მიეცა, საბიუჯეტო სახსრებით განხორციელებული თუ გაგრძელებული პროექტები განკარგოს. მანამდე ფონდს იმ პროექტების განსახელმწიფოებრიობა ევალებოდა, რომელთა ხელშესაწყობად სახელმწიფომ ფული დახარჯა

რაც შეეხება ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს, ცვლილების შეტანამდე მისი საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ფუნქციაში შედიოდა. ამასთან, სამინისტროს სააგენტოს დირექტორის დანიშვნისა და გათავისუფლების უფლებაც ჰქონდა.

როგორც გუშინ დამტკიცებული ცვლილება მიუთითებს, სააგენტოს სახელმწიფო მაკონტროლებელი არ ეყოლება. მისი საქმიანობის

კოორდინაციისა და საერთო ზედამხედველობის ფუნქცია მთლიანად სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს გადაეცა. მათ შორის, სამეთვალყურეო საბჭოს სააგენტოს დირექტორის დანიშვნის და გათავისუფლების უფლება ექნება. ხოლო, სააგენტოს დებულებას, რომელსაც აქამდე ეკონომიკის მინისტრი ამტკიცებდა, ახლა სამეთვალყურეო საბჭო მიიღებს.

სამეთვალყურეო საბჭოს საგენტოს ბიუჯეტის განსაზღვრის უფლებაც ექნება, რომელიც აქამდე მთავრობის პროგატივა იყო. გარდა ამისა, სამეთვალყურეო საბჭო სააგენტოს მიერ ქონების გაყიდვის ან დატვირთვის გადაწყვეტილებაზე, სესხის აღებაზე, თავდებად დადგომაზე, საშტატო განრიგის განსაზღვრაზე, საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დამტკიცებასა და სხვა საკითხებზე იქნება პასუხისმგებელი.

საკანონმდებლო ცვლილებით, სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაც იცვლება. აქამდე სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო 9 წევრისგან შედგებოდა. საბჭოს შემადგენლობას ცენტრალური ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი არჩევდა. ახლა კი სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობაში საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელი დირექტორი და ეკონომიკისა და ფინანასთა მინისტრების თითო მოადგილე შევლენ.

საინვესტიციო სააგენტოს აგრეთვე უფლება აქვს, ადმინისტრაციულ ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობებში ინვესტორის წარმომადგენელი იყოს. ამ მიზნით ინვესტორსა და სააგენტოს შორის ხელშეკრულება ფორმდება, რომელიც წარმომადგენლობის ფარგლებს განსაზღვრავს. ინვესტორსა და სააგენტოს შორის დადებული ხელშეკრულებით სააგენტო ინვესტორს საინვესტიციო საქმიანობისთვის საჭირო ყველა ლიცენზიის ან/და ნებართვის აღებაში ან სხვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებაში ეხმარება.

სააგენტოს მომსახურების საფასურს აქამდე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო განსაზღვრავდა, რაც ახლა სამეთვალყურეო საბჭოს ფუნქციაში გადავიდა. თუ საქმე განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციებს არ ეხება, სააგენტო მომსახურებისთვის საფასურს იღებს. თანხის რაოდენობას სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge

"პოლიტიკაში ოლიგარქების ყოფნა არასდროს მთავრდება კარგად"

დებატები ევროპარლამენტში საქართველოს შესახებ

ПЕРВОЕ ПРАВИТЕЛЬСТВО

სტრასბურგში ბიძინა ივანიშვილზეც იმსჯელეს. ევროპარლამენტარების ნაწილმა განაცხადა, რომ პოლიტიკაში ოლიგარქების ყოფნა არასოდეს მთავრდება კარგად.

დებატებისას 14-მდე ევროპარლამენტარი გამოვიდა სიტყვით. ხუთი მათგანი ევროპის სახალხო პარტიიდან (EPP) იყო, რომელსაც ევროპარლამენტში ყველაზე დიდი ფრაქცია ყავს. ისინი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდნენ ასეთი დებატების საჭიროებას და ამბობდნენ, რომ საქართველოს საარჩევნო პროცესის განხილვის აუცილებლობა არ არსებობდა და ეს საკითხი მხოლოდ ბიძინა ივანიშვილის მიერ დაქირავებული კომპანიების აქტიური ლობირების შედეგად შევიდა დღის წესრიგში. ევროპის სახალხო პარტიის ზოგიერთმა დეპუტატმა ისიც განაცხადა, რომ ივანიშვილი პრორუსული პოლიტიკოსია.

ევროპარლამენტში დებატების ინიციატორი იყო ევროპის ლიბერალთა და დემოკრატთა ალიანსი (ALDE). აღსანიშნავია, რომ "რესპუბლიკური პარტია" და" ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები" - სწორედ ALDE-ს პარტნიორ პარტიებს წარმოადგენენ.

დებატების დაწყებამდე ევროპარლამენტარებმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის კეტრინ ეშტონის განცხადება მოისმინეს. ეშტონი პირადად არ ესწრებოდა დებატებს და მისი განცხადება კვიპროსის ევროპულ საქმეთა მინისტრის მოადგილემ ანდრეას მავროიანისმა წაიკითხა.

"ევროპარლამენტი დაინტერესებულია საქართველოსთან ურთიერთობების გამყარებით. ოქტომბერში დაგეგმილი არჩევნები უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო დემოკრატიულ სტანდარტებს. არსებობს ორი მოსაზრება, ერთი მხრივ, მთავრობა ცდილობს ხელი შეუშალოს ოპოზიცონერ კანდიდატ ივანიშვილს, მეორე მხრივ კი, ბატონი ივანიშვილი თავის არათანაბარ ფინანსებს იყენებს საარჩევნო თამაშისთვის. გვინდა დავრწმუნდეთ, რომ საქართველოში არის დემოკრატიული კონკურენციის გარემო და ხმები არ იყიდება," - აღნიშნა მავროიანისმა.

პარლამენტარ ნიკოლაი ნორიცას თქმით, ევროპარლამენტი მხარს უჭერს და ყოველთვის მხარს უჭერდა წარმატებულ და დემოკრატიულ საქართველოს, რომელსაც შეუძლია ევროპული სტანდარტების დაკმაყოფილება.

"როცა ხელისუფლებაში ხარ, არ უნდა ინერვიულო ოპოზიციაზე. პრეზიდენტ სააკაშვილს აღელვებს ის ფაქტი, რომ პირველად ჰყავს გაერთიანებული ოპოზიცია. დემოკრატია არ არის ომი ტელევიზიებს შორის. კარგია, როცა არსებობს ერთზე მეტი სატელევიზიო არხი, რომელიც სხვადასხვა მოსაზრებას გააცნობს მაყურებელს," - განაცხადა რუმინელმა დეპუტატმა და აღნიშნა, რომ მონოპოლიის საშიშროება მათ ქვეყნებშიც არსებობს, რაც დემოკრატიას პრობლემებს უქმნის. მისივე თქმით, ევროკავშირთან პარტნიორობა საქართველოს აკისრებს პასუხისმგებლობას, რომ ქვეყნის მყიფე დემოკრატია გააძლიეროს.

"შემოდგომის არჩევნები ქართული დემოკრატიის რეალური ტესტი იქნება. იმედი მაქვს, რომ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდება, თუმცა თბილისიდან მიღებული ზოგიერთი ინფორმაცია შემაშფოთებელია," - დასძინა ნიკოლაი ნორიცამ.

ჩეხი ევროპარლამენტარი ლიბორ რუჩეკი კი, საქართველოს მმართველ პოლიტიკურ გუნდსა და ოპოზიციას ურჩევს, რომ ქვეყანაში შექმნილი დაძაბული სიტუაციის განმუხტვისაკენ ქმედითი ნაბიჯები გადადგან.

"საქართველოში ოქტომბრის თვეში საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, ხოლო 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნებია დანიშნული. ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, შეგვიძლია ვიგრძნოთ, რომ საქართველოში პოლიტიკური დაძაბულობა იზრდება. ის, რაც ჩვენმა ქართველმა მეგობრებმა უნდა გააკეთონ, როგორც სახელისუფლებო, ასევე ოპოზიციურ ბანაკებში, არის სიტუაციის დამშვიდება. საქართველოს სჭირდება თავისუფალი და სამართლიანი არჩევნები," - განაცხადა ლიბორ რუჩეკმა.

ლიტველი დეპუტატის ვიტაუტას ლანდსბერგისის თქმით, არსებობს სამი ფაქტორი, რომელმაც შესაძლოა მომავალი არჩევნების დროს საქართველოში დესტაბილიზაცია და უცხო ქვეყნის მიერ სისხლიანი ინტერვენცია გამოიწვიოს. მან პირველ ფაქტორად რუსული ფულის დიდი ოდენობით ჩარევა დაასახელა.

"საშიშროებაა, რომ შემოიკრიბონ კორუმპირებული პოლიტიკოსები და ღარიბი ხალხი იმისთვის, რომ საქართველო ჩამოაშორონ ევროპულ პოლიტიკას და პრორუსული გეზი დაუბრუნონ მას. მეორე ფაქტორი არის მოახლოებული არჩევნების დროს ძლიერი სამხედრო წვრთნები საქართველოს საზღვრებთან, ალბათ, ქუჩის დაპირისპირების მოლოდინით. მთავარი საშიშროება კი, რუსეთის ფინანსური დაღმასვლა და სოციალური კრიზისია. რუსეთის მთავრობა შეეცდება, რომ ხალხის ყურადღება გარეშე მტერზე გადაიტანოს და განაახლოს სისხლიანი ძალადობა," - განაცხადა ლანდსბერგისმა.

ბულგარელმა დეპუტატმა კრისტიან ვიგენინმა, სოციალ-დემოკრატთა პროგრესული ალიანსიდან, განაცხადა, რომ ასეთი დებატები არ უნდა იქნას აღქმული, როგორც უნდობლობა რომელიმე ქვეყნის მიმართ.

"ვერავინ უარყოფს, რომ საქართველომ კარგ პროგრესს მიაღწია. მე ვთხოვ ჩემს კოლეგებს, ნუ გააზვიადებენ და ნურც დააკნინებენ საქართველოში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს. მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართველოში პოლიტიკური ომი მიმდინარეობს და ორივე მხარე სრულად იყენებს იმ იარაღს, რომელიც გააჩნიათ. მაშინ, როდესაც ხელისუფლება ადმინისტრაციულ და სამართლებრივ რესურსებს იყენებს, ოპოზიცია ივანიშვილის ფინანსურ რესურსებს ეყრდნობა. თუ ორივე მხარის განმარტებებს მოუსმენთ, საქართველოში არსებული სიტუაციის შესახებ, გეგონებათ, რომ ეს ორი სრულიად სხვადასხვა ქვეყანაა და ეს უკვე პრობლემის მანიშნებელია", - განაცხადა ვიგენინმა.

პოლონელმა დეპუტატმა ევროპის კონსერვატორთა და რეფორმისტთა ფრაქციიდან ადამ ბილანმა თავის გამოსვლაში რუსეთზე გაამახვილა ყურადღება. მან ამ კონტექსტში რუსეთის მიერ დაგეგმილი სამხედრო წვრთნები "კავკასია 2012" ახსენა, რომელიც, მისი თქმით, საქართველოს არჩევნებს ემთხვევა. მისი განცხადებით, მნიშვნელოვანია იმის უზრუნველყოფა, რომ რუსეთი არ ჩაერიოს საქართველოს საშინაო საქმეებში, მათ შორის "ოპოზიციური ჯგუფების დაფინანსების" გზით.

კიდევ ერთი ევროპელი კანონმდებლის, პოლონელი კშიშტოფ ლიზეკის შეფასებით, ბიძინა ივანიშვილი ფულს არასწორად იყენებს.

"ქვეყანაში ოპოზიციის ახალი ლიდერი გამოჩნდა, რომელსაც დიდი ქონება აქვს და მისი ბიუჯეტი საქართველოს ეროვნულ ბიუჯეტს აღემატება. ეს ადამიანი ფულს არასწორად იყენებს. მან 18 ბრიტანული, გერმანული და სხვა კომპანიები დაიქირავა. პოლიტიკაში ოლიგარქების ყოფნა არასდროს მთავრდება კარგად. ეს არის ჩემი მთავარი მესიჯი ქართული ოპოზიციისთვის" - დასძინა ლიზეკმა.

ოლიგარქები პოლიტიკაში არც ევროპარლამენტარ ულრიკე ლუნაჩეკს მოსწონს. მისი თქმით, საჭიროა საარჩევნო კამპანიის დაფინანსების ტრასპარენტულობა.

"მეც არ მომწონს ოლიგარქები პოლიტიკაში. ის, თუ რამდენი ფული გაქვს, არ შეიძლება იყოს იმის კრიტერიუმი, აგირჩევენ თუ არა" - განაცხადა ლუჩანეკმა და აღნიშნა, რომ ქართულ კანონმდებლობაში "მასთ ქერის" პრინციპის გაზიარება პოზიტიური ნაბიჯი იყო.

ევროპარლამენტის კიდევ ერთი დეპუტატის ელმარ ბროკის შეფასებით, ოპოზიციას აქვს ხმების მოსყიდვის მცდელობა და მას, სავარუდოდ, ოცჯერ მეტი ფული აქვს, ვიდრე სახელისუფლებო პარტიას.

"საჭიროა გარკვეული კონტროლი დაწესდეს ოპოზიციაზე," - დასძინა ბროკმა.

სტრასბურგში გამართულ ევროპარლამენტის სხდომაზე "საქართველოს რესპუბლიკური პარტიაც" იმყოფებოდა, რომელიც ლიბერალური ფრაქციის წევრი პოლიტიკური ორგანიზაციის სტატუსით მიიწვიეს. თინა ხიდაშელი "მაესტროსთან" ჩართვაში ამტკიცებდა, რომ ევროპარლამენტის დებატებზე საქართველოს ხელისუფლება ერთადერთმა დეპუტატმა - ლიტვის ყოფილმა პრეზიდენტმა ვიტაუტას ლანდსბერგისმა დაიცვა. ხიდაშელმა ლიტველი პოლიტიკოსის განცხადებებს არაადეკვატური უწოდა და შენიშნა, რომ ყველა სხვა გამომსვლელი მეტნაკლებად დაბალანსებული იყო.

"შედგა დებატები ევროპარლამენტარებთან, რომლებმაც საქართველოში საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია მიიღეს. კერძოდ, ყურადღება გამახვილდა პოლიტიკური მოტივით დაპატიმრებების, ჯარიმების დაკისრების საკითხებზე, ასევე, კოალიცია "ქართული ოცნების" ლიდერის ბიძინა ივანიშვილისთვის მოქალაქეობის ჩამორთმევის საქმეზე და მედიასთან დაკავშირებულ პრობლემებზე. ევროპარლამენტარებს კარგად ესმით ქართული ოპოზიციური პარტიების მოთხოვნების და პროტესტის სისწორე, თუმცა, მათთვის წარმოუდგენელია, რომ ქვეყანაში ამ ტიპის პრობლემები იქმნება" - აღნიშნავს ხიდაშელი.

მოგვიანებით, "რესპუბლიკელმა" განცხადება გაავრცელა, სადაც წერს, რომ **"დებატების დროს იყო ჩვეულებრივი ამბავი, დეპუტატების ნაწილი იყო ნეიტრალური, ნაწილი ამბობდა, რომ ივანიშვილს წილი აქვს "გაზპრომშიო და კიდევ ნაციონალური აზრები აქვთ ამ კოალიციაშიო, მაგრამ უმრავლესობამ თქვა, რომ არ შეიძლება ის ხდებოდეს ქვეყენაში, რომელსაც ჩვენთან ინტეგრაცია უნდა, რაც ხდება საქართველოშიო".**

სტრასბურგში ქართული დელეგაციას პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე დავით დარჩიაშვილი და უმრავლესობის წევრი ჩიორა თაქთაქიშვილი ხელმძღვანელობდნენ. როგორც თაქთაქიშვილმა "24 საათს" განუცხადა, დებატებზე ცალსახად დაფიქსირდა, რომ ევროპა ფულზე არ იყიდება.

"ამ დებატებით კარგად გამოჩნდა, რომ ბიძინა ივანიშვილის დაქირავებული ლობისტების არმიის მიუხედავად, ევროპისთვის პოლიტიკაში გაუმჭვირვალე ფულის არსებობა და ამომრჩევლების მოსყიდვა მიუღებელია. მათთვის შეშფოთების საგანია "პარტიების დაფინანსების შესახებ" კანონის შეუსრულებლობა. დებატებზე ცალსახად დააფიქსირეს, რომ საქართველოში, წინასაარჩევნო პროცესში ჩართულია პოლიტიკური გაერთიანება, რომლის მიზანია ამომრჩევლის მოსყიდვა და ამით, ქვეყნის წინსვლის კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენება. ევროპარლამენტარებმა დადებითად შეაფასეს საქართველოს პროგრესი და დაგმეს "ქართული ოცნების" მცდელობა, იყიდოს პოლიტიკური პროცესი საქართველოში და მოისყიდოს ამომრჩევლები" - აღნიშნა თაქთაქიშვილმა.

ევროპარლამენტში საქართველოსთან დაკავშირებულ დებატებს "ახალი მემარჯვენეების" ლიდერი დავით გამყრელიძეც გამოეხმაურა. როგორც გუშინდელ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, ის ევროპარლამენტარებს ეთანხმება.

"ჩვენი მოთხოვნა არის, რომ წინასაარჩევნოდ ყველანი ჩავდგეთ თანაბარ პირობებში. "ახალ მემარჯვენეებს" არ გვაქვს მილიარდები, არ გვყავს მილიარდერი ლიდერი. მე ვფიქრობ, რომ ეს უნდა იყოს არა მილიარდების ჭიდილი, რაც დღეს სახეზეა, არამედ იდეების, პროგრამების და პრიორიტეტების ჭიდილი", - განაცხადა გამყრელიძემ.

სერგეი ტიგიპკო საქართველოს გამოცდილებით ინტერესდება

"უკრაინას აინტერესებს საქართველოს გამოცდილება კორუფციასთან ბრძოლაში," - ამის შესახებ "ჯი-ეიჩ-ენი" უკრანისი ვიცე-პრემიერ სერგეი ტიგიპკოს განცხადებაზე დაყრდნობით იუწყება.

ტიგიპკო აღნიშნავს, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში სამჯერ იმყოფებიოდა თბილისში, რათა პირადად გაცნობოდა საქართველოში მიმდინარე რეფორმებს. მისივე თქმით, უკრაინამ რეფორმების კუთხით საქართველოს რამდენიმე გამოცდილება გამოიყენა. "ჩვენ გამოვიყენეთ საქართველოს რამდენიმე გამოცდილება სამშენებლო რეფორმის მომზადებისას, საწარმოთა რეგისტრაციის სისტემის გამარტივებისას, საბაჟო რეფორმები ქვეყანაში დადებითი საინვესტიციო კლიმატის შესაქმნელად," - განაცხადა ვიცე პრემიერმა.

მისივე განცხადებით, უკრაინისთვის საინტერესოა ის რეფორმატორული გზა, რომელიც საქართველომ გაიარა.

რუსეთი გაერო-ს რეზოლუციით უკმაყოფილოა

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო უკმაყოფილებას გამოთქვამს გაერო-ს გენერალური ასამბლეის 66-ე სესიაზე მიღებული რეზოლუციის გამო და აცხადებს, რომ აღნიშნული დოკუმენტი, რომელიც აფხაზეთიდან და სამხრეთ ოსეთიდან იძულებით გადადგილებულ პირებსა და დევნილებს ეხებათ, რეგიონში მდგომარეობის გამწვავებას უწყობს ხელს. რუსეთის საგარეო უწყება აღნიშნავს, რომ რეზოლუციის პროექტი კენჭისყრაზე საქართველოს დელეგაციამ დააყენა. დოკუმენტს მხარი დაუჭირა 60-მა ქვეყანამ, წინააღმდეგ წავიდა - 15, ხოლო 82-მა სახელმწიფომ თავი შეიკავა.

"ქართული ოცნება" აქციის ჩასატარებლად გორის გამგეობის მიერ შეთავაზებულ ადგილს იწუნებს

კოალიცია "ქართული ოცნება" აქციის ჩატარებისთვის გორის გამგეობის მიერ შეთავაზებულ ადგილზე უარს ამბობს. კოალიციის პრესსპიკერ მაია ფანჯიკიძის განცხადებით, "ქართულმა ოცნებამ" აქციის ჩატარების ადგილის საკითხზე გორის გამგეობას ალტერნატიული წინადადებით მიმართა.

"ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ადგილობრივი ხელისუფლება პირველ წინადადებაზე ყოველთვის უარს გვეუბნება. ამავე დროს, როცა მეორე შეთავაზება გაქვს ხოლმე, ნებართვას ვიღებთ. ჩვენ ამ შემთხვევაშიც შევთავაზეთ გორის გამგეობას აქციის ჩატარებისთვის ალტერნატიული ადგილი და ველოდებით მათ პასუხს, თუმცა რა ადგილზეა საუბარი, ეს გამოცხადდება მაშინ, როგორც კი პასუხს მივიღებთ," - განაცხადა ფანჯიკიძემ.

გორის მუნიციპალიტეტის გამგეობამ კოალიცია "ქართულ ოცნებას" 15 ივლისისთვის დაგეგმილი აქციის გასამართად ქალაქის ცენტრალური მოედნის გამოყოფაზე უარი უთხრა. გამგეობის ოფიციალურ წერილში ნათქვამია, რომ ადმინისტრაციული შენობის წინ მდებარე მოედანი ქალაქის საკომუნიკაციო და სატრანსპორტო კვანძია. შესაბამისად, მიზანშეუწონლად მიაჩნიათ 15 ივლისს აღნიშნული ტერიტორიის პარალიზება. "ამასთან, გთავაზობთ ალტერნატიულ ტერიტორიას მანიფესტაციის და შეკრების ჩასატარებლად გორში, ცხინვალის გზატკეცილზე მე-2 კმ-ზე, საფეხბურთო სტადიონ "ქართლის" მიმდებარე ტერიტორიაზე," - ნათქვამია წერილში.

"ლეიბორისტები" ხელისუფლებას მიწების უკანონო გასხვისებაში ადანაშაულებენ

"ლეიბორისტული პარტია" საქართველოს მთავრობას ქართული მიწების უკანონოდ გასხვისებაში ადანაშაულებს. როგორც პარტიის იდეოლოგიურმა მდივანმა კახა ძაგანიამ განაცხადა, საქართველოს ხელისუფლების მოღალატეობრივი პოლიტიკის შედეგად, ჩვენს წინაპართა სისხლით გაპოხილ ქართულ მიწებს კაპიკების ფასად მასობრივად ეპატრონებიან ბურები, არაბები, ჩინელები, თურქები და სხვა ქვეყნის მოქალაქეები. "საკონსტიტუციო სასამართლომ 2012 წლის 26 ივნისს მზაკვრული გადაწყვეტილება გამოიტანა, რომლის შესაბამისადაც, უცხო ქვეყნის მოქალაქეებს ქართული მიწების დასაკუთრების უფლება დაუკანონა. აღნიშნული გადაწყვეტილება საქართველოს ისტორიაში შევა, როგორც "შადიმანის აქტი", - განაცხადა ძაგანიამ.

მისი თქმით, "ლეიბორისტულმა პარტიამ" საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით შეიმუშავა სპეციალური კანონპროექტი, რომელიც კატეგორიულად კრძალავს მიწების გასხვისებას. "ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში არც ერთი გოჯი ქართული მიწა უცხოელებზე არ გაიყიდება," - აღნიშნავს ძაგანია.

ოგბუდსმენი

დათვური კაუზალობა

ნოდარ ლადარია

შუა საუკუნეების ინგლისში ძალიან პოპულარული იყო სისხლიანი სანახაობა: დათვთან ბრძოლა და მისი მოკვლა არენაზე. კრომველის დროს, მეჩვიდმეტე საუკუნეში, პურიტანებმა ეს ტრადიცია აკრძალეს... არა, "გარემოს დაცვა" და "ცხოველთა უფლებები" აქ არაფერ შუაში იყო: საქმე ისაა, რომ სანახაობა ახარებდა და სიამოვნებას ანიჭებდა მაყურებელს. შეიძლება ერთი წამით დავივიწყოთ ზოგიერთი ქართველი დეპუტატის მენტალობა და ბევრი ვილაპარაკოთ იმდროინდელი ინგლისელების ველურ სიტლანქეზე, მაგრამ არც ეს ადარდებდათ პურიტანებს. მოტივაცია ბევრად უფრო მარტივი იყო: თვით მხიარულებაა დასაძრახი. მართლაც, განა აქვს სიხარულის უფლება არსებას, რომელიც ედემიდან გააძევეს?

აქ შეიძლება ვთქვათ, რომ პურიტანების არგუმენტი არანაკლებ ველური და ტლანქი იყო, ვიდრე ინგლისელი პლებსის საყვარელი გართობა — უნდა ვაღიარო, რომ ამასთან კამათი ძნელი იქნება.

შეიძლება ისიც შევნიშნოთ, რომ დღევანდელი ადამიანისათვის გაუგებარმა და სასაცილო მოტივაციამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში "კარგი" შედეგი გამოიღო: დროებით მაინც შეწყდა მსხვილ ძუძუმწოვართა ტანჯვა და განადგურება. მაგრამ ასეთი შეფასება უკვე სრულიად მცდარი იქნება... ერთადერთი სიკეთე ის იყო, რომ აკრძალვამ მცირე წვლილი შეიტანა თვით პურიტანების შემდგომ კრახში. რაც შეეხებათ დათვებს, ისინი სწორედ რომ კეთილ საქმეს ეწირებოდნენ და სულაც არ იქნება აზრს მოკლებული ისტორიული შტუდია, რომელიც ამგვარ მძიმე სანახაობებსა და წარმომადგენლობითი დემოკრატიის განვითარებას შორის არსებულ ნატიფ კავშირს გამოიკვლევს.

ეს შესაძლო მეცნიერული პროექტი ისე — სიტყვის მასალად მოვიყვანეთ. სინამდვილეში სხვაგან ვუმიზნებთ, რადგან ინგლისელი დათვებისა და პურიტანების ამბავი ჩვენმა მშობლიურმა რეალობამ გაგვახსენა. აქაც საკმაოდ აშკარად ჩანს, რომ შედეგი ცალსახად არ გამომდინარეობს მოტივაციიდან...

ბოროტი ენები ამბობენ, რომ თბილისურ ყვითელ "მარშრუტკებში" რადიოს გამორთვა სულაც არ იყო გამოწვეული მგზავრობის უსაფრთხოებაზე ზრუნვით, არამედ იმავე ბუნების მოვლენა იყო, როგორიც საბჭოთა დროს სხვადასხვა "მტრული" რადიოსადგურების ჩახშობა. სხვა სიტყვებით, მგზავრის ყური "ოპოზიციური" მედიის ხმას დააშორეს. უნდა ვაღიარო, რომ როგორიც არ უნდა იყოს მოტივაცია, შედეგი ნებისმიერ შემთხვევაში მარგებელია, რადგან ჩახუთულ და ბრაზიანი თბილისელებით გადატენილ სალონებში "ოპოზიციურ" ხმებზე მეტად "არ დაიდარდო" და "ავტორადიო" ისმოდა, ჰოდა, რაც ნაკლებად გაიგონებს ქართველი მგზავრი "კაკლის მურაბას", "სამი დალიეს", "ღვინოში მოცურავე ალუბლებსა" და "პაჩი-პუჩებს", მით უფრო ნაკლები საფრთხე დაემუქრება მის გემოვნებას, ზოგადად, ნერვული სისტემისა და, კერძოდ, გონებრივი უნარების მდგომარეობას, მით უფრო სწრაფად მიხვდება, რომ თუ ყველა მანქანაში ერთდროულად და ერთი და იმავე მიზეზით გაფუჭდა კონდიციონერი, ამის მიზეზი ტექნიკური გაუმართაობა კი არა, ქართველი მძღოლების უფანტაზიობაა...

იქნებ მიხვდეს ამას ქართველი მგზავრი და აღარ ემსგავსოს ფელამუშივით ჰომოგენურ მოტკბო მასას, არამედ გაახსენდეს, რომ მგზავრობის საფასურში სიგრილეც არის გათვალისწინებული, ხმა ამოიღოს და ნელ-ნელა დაიწყოს თავისი კანონიერი უფლებებისათვის ბრძოლა. დღიური თხუთმეტი ლარი, რომელიც ჩართული კონდიციონერისათვის მძღოლმა "საკუთარი ჯიბიდან" უნდა გადაიხადოს, არ არის არგუმენტი, რადგან არავინაა ვალდებული უჟანგბადოდ იტანჯოს იმისათვის, რომ სატრანსპორტო კომპანიის დაქირავებულს უნივერსიტეტის პროფესორზე მეტი შემოსავალი ჰქონდეს. და როცა ამ უბრალო გარემოებას ყველა ჩაწვდება, მერე იქნებ დედაქალაქის მთავრობაში ჩაბუნაგებულმა დათვებმაც ყურად იღონ ხალხის ხმა და ნაკლები გამბედაობით იქნიონ ბენზოხერხები...

თუმცა ასეთი შორს მიმავალი შედეგები უკვე არაქართული ოცნების სფეროს მიეკუთვნება... ჩვენს ღვთივდაცულ მამულში ბევრად უფრო დიდი გაქანების სასწაულები ხდება.

აი თუნდაც "დასაქმების სახელმწიფო მინისტრი" ავიღოთ. ზედსართავმა სახელმა "სახელმწიფო" არსებითი სახელის, "მინისტრის" წინ უკვე ლამის ეჭვი გამოიწვიოს: ასე განსაზღვრული თანამდებობა ყოველთვის იყო რაღაც უცნაური სინეკურა მათთვის, ვისი გადაგდება თითქოს ძნელია, ადგილის მიჩენა კი ნამდვილად ძნელი. ადრე "სახელმწიფო მინისტრის" ადგილზე უკან იხევდნენ, იმალებოდნენ, ახლა კი, თუ არ ვცდები, პირველად მოხდა, რომ დანიშნულმა წინ გადადგა საკარიერო ნაბიჯი, სიბნელიდან სინათლეზე გამოვიდა.

ეგეც არაფერი. მთავარი უბედურება სხვაა.

ავიღოთ საშუალო ქართველი უმუშევარი, არც თუ ისე უიღბლო, რომ სასოწარკვეთილებამ ხელი არ შეუშალოს ფიქრში. აი ის, პნევმატური ბურღით ხელში რომ დგას "ელიავას ბაზრობის" მისადგომებთან. ავიღოთ და ვკითხოთ: იქმნება თუ არა სამუშაო ადგილები მინისტრის განკარგულებით? რა კონკრეტულ სარგებლობას მოუტანს მას ადგილი "მონაცემთა ბაზაში"? — ასეთ შეკითხვებზე სწორ პასუხს არათუ პნევმატური ბურღის მფლობელი უმუშევარი, ვინძლო, წმინდა სინოდის რიგითი წევრიც კი გასცემს.

ეს შემთხვევა ზემოთ ნახსენებთაგან არც ერთს არ ჰგავს, რადგან შედეგსა და მოტივაციას ერთადერთი საერთო თვისება აქვთ: არარსებობა. ეს რას ნიშნავს? — იმას, რომ, რაც არ უნდა დავასახელოთ მსგავსი გადაწყვეტილების მოტივაციად ან მის სავარაუდო შედეგად, არასოდეს შევცდებით და აუცილებლად მიზანში მოვარტყამთ.

ვიტყვით, რომ საწყალ ხალხს აბოლებენ და მართლები ვიქნებით; ვიტყვით, რომ ერთადერთი შედეგი ახლად შექმნილ სამინისტროში ძმიშვილ-ბიძაშვილების დასაქმება იქნება და მართალი ვიქნებით; ვიტყვით, რომ ქართველი ამომრჩევლის უმრავლესობას ეს ყველაფერი სასაცილოდაც არ ეყოფა და მართალი ვიქნებით; ვიტყვით, რომ სინამდვილეში სოციალური სახელმწიფოს იდეის ერთდორულად მწარე და მდარე პაროდირებასთან გვაქვს საქმე და მართალი ვიქნებით...

ესეც არ არის მთავარი. მთავარი ისაა, რომ მართალი ვიქნებით მაშინაც, თუ ჩვენ მიერ გამოთქმულ ვერსიას არაფერი საერთო არ ექნება რეალობასთან. სწორედ ამას ნიშნავს არარსებობა: როცა დასახული შესაძლებლობები ერთდროულად შეუზღუდავი და განუხორციელებელია.

არა, ათასლარიან ვაუჩერზე ნურაფერს მკითხავთ: ამ საჭედაკარგულ ვითარებაში ისედაც ყველაფერი მარცხნისკენ გადახრილა და მე რატომღა უნდა ვიდარდო, კიდევ რამდენ ჯარიმას გადაახდევინებენ იმ შავ დღეს გაჩენილს...

ID ბარათი ანტიქრისტეს ბეჭედი არ არის

მაგდა ლეკიაშვილი

მართლმადიდებელთა კრებულმა რამდენიმე კვირის წინ დაიწყო ხელმოწერების შეგროვება იმ მიმართვისთვის, რომელშიც საქართველოში ID ბარათების შემოღებას აპროტესტებს. ამ პოზიციაზეა მართლმადიდებელ მშობელთა კავშირიც. საპატრიარქოში გუშინ წმინდა სინოდის კრება გაიმართა. კრების მიმდინარეობისას მართლმადიდებელთა კრებულმა ჟურნალისტებში გაავრცელა პრეზიდენტისადმი მიმართვა, რომელშიც ისინი პირადობის ძველი ბარათების აღების და ნაღდი ფულით გადახდის შესაძლებლობას ითხოვენ. მათ 30 ათასი ხელმოწერა შეაგროვეს და პრეზიდენტს, პარლამენტს, იუსტიციის სამინისტროსა და საპატრიარქოს გადაუგზავნეს. კრებულის წევრები ხელისუფლებისგან ითხოვენ, შეწყდეს ადმინისტრაციული ძალადობა საქართველოს მოქალაქეებზე და ელექტრონული ბარათების აღება მხოლოდ ნებაყოფლობითი იყოს. კრებულის წევრების აზრით, აუცილებელია, ძალაში დარჩეს ახალ საბუთებამდე მოქმედი პირადობის მოწმობებისა და პასპორტების გაცემა. სახელმწიფოში ყველაგან უნდა შენარჩუნდეს ფულადი ერთეულით გადახდა, ისევე, როგორც ბევრ ქვეყანაშია მიღებული და ახლო მომავალში, უკრაინის მსგავსად, მორწმუნეთათვის ცალკე ფორმით შეიქმნას არსებობისთვის აუცილებელი საბუთები.

დღეს ფულის გადახდის პროცესი ჩასარიცხი აპარატების საშუალებით ისედაც გამარტივებულია. გამარტივების საბაბით შექმნილი ახალი საბუთები კი ადამიანის ქმედების გაკონტროლების ყოვლად მიუღებელ ფუნქციებს შეიცავს და მთელ რიგ ქრისტიანულ სწავლებებს ეწინააღმდეგება, - ნათქვამია მართლმადიდებელთა კრებულის განცხადებაში. მართლმადიდებელთა კრებული საპატრიარქოს ხელისუფლებასთან შუამდგომლობას სთხოვს.

მოქალაქეთა ID ბარათები ერთ-ერთი განსახილველი თემა იყო სინოდის კრებაზე. რამდენიმესაათიანი შეხვედრის დასრულების შემდეგ, წმინდა სინოდის განჩინება ჟურნალისტებს გორისა და სამთავისის მიტროპოლიტმა, მეუფე ანდრია გვაზავამ გააცნო. წმინდა სინოდის განჩინებით, ID ბარათი ანტიქრისტეს ბეჭედი არ არის. თუმცა, წმინდა სინოდს მიაჩნია, რომ სასურველია, ხელისუფლებამ პირადობის დამადასტურებელი ალტერნატიული საშუალება დაუშვას.

"სადღეისოდ წარმოდგენილი ID ბარათის ვერსია, საღვთისმეტყველო და საეკლესიო სწავლების მიხედვით, არ არის ანტიქრისტეს ბეჭედი და, აქედან გამომდინარე, ამ ბარათით სარგებლობა შესაძლებელია. მაგრამ, რადგან ეს საკითხი საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, ეთხოვოს საქართველოს მთავრობას, თუ შესაძლებელია, დაშვებულ იქნეს ალტერნატიული პირადობის დამადასტურებელი საშუალებები," - ნათქვამია წმინდა სინოდის სხდომის ოქმში.

ID ბარათების საკითხის გარდა, წმინდა სინოდმა ბაგრატის ტაძარის შესახებაც იმსჯელა. საქართველოს ეკლესია ბაგრატის ტაძრის პირვანდელი სახით აღდგენის მომხრეა. სინოდის წევრების აზრით, ვინაიდან ბაგრატის ტაძრის დასავლეთ მკლავის რესტავრაციისას გარკვეული პრობლემები შეიქმნა, აუცილებელია, სამუშაოები საქართველოს საპატრიარქოს, კულტურის სამინისტროს და "იუნესკოს" წარმომადგენლებთან შეთანხმებული პროექტით გაგრძელდეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასულიერო პირები ბოლო დროს «ქართული ოცნების" მიერ ორგანიზებულ აქციაზე გამოჩნდნენ. ამ საკითხის შესახებ სინოდში საკუთარი შეფასებები აქვთ. მეუფეებისთვის რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში მონაწილეობა მიუღებელია. მიტროპოლიტ ანდრია გვაზავას თქმით, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა წმინდა სინოდზე მოკლედ მიმოიხილა დღევანდელი საერთო ვითარება და ყურადღება გაამახვილა მომავალი თაობის სწორად აღზრდის მნიშვნელობასა და ახალგაზრდობის დასაქმების საკითხზე. წმიდა სინოდზე აღინიშნა, რომ ეკლესია ყოველთვის იყო ქვეყნის გამაერთიანებელი ძალა და მისი ეს ფუნქცია დღეს საქართველოს განსაკუთრებით სჭირდება. ამიტომ კატეგორიულად მიუღებელია ღვთისმსახურთა მონაწილეობა რომელიმე პარტიის პოლიტიკურ აქციაში.

ეკლესია არის საყოველთაო და მისი წევრია ნებისმიერი პოლიტიკური შეხედულების ადამიანი," - განაცხადა მიტროპოლიტმა.

«24 საათი" «ქართული ოცნების" აქციის ერთ-ერთ მონაწილეს, არქიმანდრიტ სტეფანეს ესაუბრა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილის აქციაზე მისვლა პოლიტიკური ნაბიჯი არ ყოფილა, ეს იყო მადლიერების გამოხატვა იმ ადამიანის მიმართ, რომელმაც სამება ააშენა. გარდა ამისა, არქიმანდრიტი გადაცემა «კვირის რეპორტაჟში» 1 ივლისს გასულ სიუჟეტს ეხმაურება, რომელშიც ბორჯომ-ბაკურიანის მიტროპოლიტ სერაფიმეს ფარული ჩანაწერია გამოყენებული. მიტროპოლიტი ჟურნალისტს უყვება, რომ «საერო პირების მხრიდან, განსაკუთრებით კი გიგი უგულავასგან, ხშირად აქვს ადგილი პარტიარქის მიმართ ხმამაღალ საუბარს და ზოგჯერ ყვირილსაც». უგულავამ ეს ინფორმაცია უარყო, მეუფე სერაფიმემ კი დამატებითი კომენტარის გაკეთება აღარ ისურვა. სამღვდელოების ნაწილი მიიჩნევს, რომ ჟურნალისტის ქმედება სპეცსამსახურების ქმედებას ჰგავდა. არქიმანდრიტ სტეფანეს თქმით, მედიის წარმომადგენელთა მსგავსი ქმედება და სასულიერო პირების ფარული ჩაწერა არაეთიკურია. ნებისმიერი ადამიანი, სულ მცირე, უნდა გააფრთხილო, რომ მისგან ინტერვიუს იღებ. მისივე განცხადებით, ყველასთვის ცნობილია, რომ პოლიტიკოსები სასულიერო ცხოვრებაში ხშირად ერევიან, რაც დამალული არ არის. თუ ამას საზოგადოება არ აღიარებს, ეს, არქიმანდრიტ სტეფანეს აზრით, თავის მოტყუება იქნება.

უკვლელი სიტუაცია სირიაში და ნატო-ს პოზიცია

ხათუნა გაბიევი

ხმელთაშუა ზღვაში იპოვეს 22 ივნისს სირიის ანტისაზენიტო სისტემების მიერ ჩამოგდებული თურქული თვითმფრინავის ნაწილები და დაკარგული პილოტების ცხედრები. ამის შესახებ ინფორმაცია თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა გაავრცელა. "საძიებო სამუშაოები დასრულდა, რომლის შედეგადაც ნაპოვნია 22 ივნისს სირიის მიერ ჩამოგდებული "Rf-4ფანტომის" ნაწილები და მისი ეკიპაჟი. თვითმფრინავის ნაწილები და მფრინავების ცხედრები ხმელთაშუა ზღვის ფსკერზეა აღმოჩენილი", ნათქვამია გენერალური შტაბის მიერ გავრცელებულ განცხადებაში. თურქეთის სამხედრო უწყების მიერ მითითებულ რაიონში საძიებო სამუშაოებს ამერიკული კვლევითი ხომალდი "Natilus"-ი აწარმოებდა, რომელმაც თავის დროზე ჩაძირული "ტიტანიკის" კორპუსი იპოვა.

მართალია სირიის პრეზიდენტმა ბაშარ ალ-ასადმა თურქულ მხარეს მომხდარი ინციდენტის გამო ბოდიში რამდენიმე დღის წინ მოუხადა და სინანულიც გამოთქვა ჩამოგდებული თვითმფრინავის გამო, მაგრამ ამჯერად მუქარაზე გადავიდა და ოფიციალური ანკარა პირდაპირ დაადანაშაულა სირიის საშინაო საქმეებში ჩარევის მცდელობაში. **"თურქეთის პრემიერმა ჩვენი მეგობრობა არაფრად ჩააგდო და ჩვენი ქვეყნის საშიანო საქმეებში ჩარევისკენ აიღო კურსი. ანკარა ტერორისტებისთვის ლოგისტიკური დახმარების აღმოჩენას შეუდგა, რომლითაც ჩვენ მოქალაქეებს უსწორდებიან. არ დავუშვებთ ჩვენ საქმეში ასეთ უხეშ ჩარევას. თურქეთმა ურთიერთობები გაიფუჭა ირანთან, ერაყთან, ლიბანთან და იორდანიასთან. სწორედ, ამიტომ შემიძლია ვთქვა, რომ ერდოღანი შეიცვალა. მას ჩემზე მეტად ხომ არ უყვარს სირიელი ხალხი? ჯობია თავის საშინაო საქმეებს მიხედოს, ჩვენ თავი დაგვანებოს და შეუდგეს მეზობლებთან ნულოვანი პრობლემების პოლიტიკის განხორციელებას"**, - განაცხადა სირიის პრეზიდენტმა თურქულ გაზეთ "ჯუმჰურიეტ"-ში გამოქვეყნებული ინტერვიუს მეორე ნაწილში.

ამბოხებულები აფეთქებულ ტანკთან

სირიაში კი ძალადობა ამ დრომდე გრძელდება. სროლის ხმა ისმის ჰომსსა და დერაააში, სადაც ამბოხებულებსა და ასადის არმიას შორის დაპირისპირებას მშვიდობიანი მოქალაქეებიც ეწირებიან. სოციალური ქსელების მეშვეობით სირიელმა ამბოხებულებმა ვიდეომასალაც გაავრცელეს, სადაც ასახულია ალეპოში განვითარებული მოვლენები. ამბოხებულები ჯერ თავს დაესხნენ ქალაქში განთავსებულ სამხედრო საგუშაგოს, შემდეგ კი ცეცხლი ასადის არმიის ვერტმფრენებს გაუხსნეს.

სირიის საკითხს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის გენერალური მდივანი ლონდონში ვიზიტისას გამოეხმაურა. **"ნატო-ს არ აქვს განზრახული სირიაში სამხედრო ჩარევა, რადგან გვჯერა, რომ ერთადერთი სანდო მეთოდი სირიაში კონფლიქტის მოგვარებისთვის პოლიტიკური გზაა"**, - განაცხადა ანდერს ფოგ რასმუსენმა ლონდონში საერთაშორისო ურთიერთობების სამეფო ინსტიტუტში სიტყვით გამოსვლის შემდეგ ჟურნალისტებთან შეხვედრაზე. გარდა ამისა, მან ჟენევის მოლაპარაკებებზეც გააკეთა განცხადება და იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობა ერთიან და მტკიცე სიგნალს გაუგზავნის ოფიციალურ დამასკოს დემოკრატიაზე გადასვლის მოთხოვნით.

გავრცელდა ინფორმაცია ასევე ასადის რეჟიმისთვის იარაღის მისაწოდებლად რუსეთის მიერ კვიპროსის გამოყენებაზე, რაც რესპუბლიკის პირველმა პირმა უარყო. დიმიტრის ხრისტოფიასის განცხადებით, ცნობები უსაფუძვლოა, რადგან კუნძული სირიისთვის იარაღის მიწოდებისთვის არ გამოიყენება. ინფორმაციას ასადისთვის რუსეთის თავშესაფრად შეთავაზებაზე კი ოფიციალური მოსკოვი უკბილო ხუმრობას უწოდებს. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებით, მოსკოვი არ აპირებს სირიის პრეზიდენტს თავშესაფარი შესთავაზოს. სერგეი ლავროვმა ამის შესახებ გერმანელ კოლეგასთან მოლაპარაკებების შემდეგ გააკეთა განცხადება. **"როდესაც 1 ივნისს ვლადიმირ პუტინი ბერლინში იმყოფებოდა და ანგელა მერკელს შეხვდა, ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა თქვეს, რომ ურიგო არ იქნებოდა რომ რუსეთს ბაშარ ალ-ასადისთვის თავშესაფარი მიეცა. ჩვენმა მხარემ ეს ხუმრობად აღიქვა და ამიტომ იუმორთვე ვუპასუხეთ: "ჯობია, თქვენ გერმანელებმა შეიფაროთ და თან წაიყვანოთ ასადი თუ კი იგი სადმე წასვლას მოისურვებს". ვფიქრობდი, რომ ამ სახუმარო ნოტაზე დამთავრდებოდა კიდეც ყველაფერი, მაგრამ გამიკვირდა, როცა ცოტა ხნის წინ უცხოელ კოლეგებთან საუბრისას მოვისმინე, რომ დარწმუნებულნი არიან თითქოს ჩვენ ასადს შევიფარებთ და ასე გადავწყვეტთ სირიელი ხალხის პრობლემას. ეს ან იმ სერიოზული ხალხის შეცდომაში შეყვანის მცდელობაა, ვინც საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე მოღვაწეობს ან რუსეთის პოზიციის ფაქტობრივი გაუგებრობაა. სირიის ბედის და მათ შორის მისი ხელმძღვანელობის მომავლის გადაწყვეტა მხოლოდ სირიელ ხალხს შეუძლია. ეს მკაცრადაა განერილი 30 ივნისს ჟენევის შეხვედრის კომუნიკეში"**, - განაცხადა რუსეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელმა.

სირიაში კი მუშაობის სრული მასშტაბით განახლება უკვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიასაც უჭირს. ამის შესახებ ღიად განაცხადა მისიის ხელმძღვანელმა, ნორვეგიელმა გენერალმა რობერტ მუდმა. **"ჩვენ ამჟამად იმ მდგომარეობაში ვიმყოფებით, როცა ურთიერთობაც გვაქვს, ცნობებიც მოგვეპოვება, მაგრამ ცეცხლის შეწყვეტა მაინც არ ხერხდება"**, - აღნიშნა მუდმა. სადამკვირვებლო მისია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ 300 შეუიარაღებელი სამხედრო მონიტორის შემადგენლობით სირიაში აპრილში გაგზავნა. მისიას მანდატი 20 ივლისს ეწურება. ჯერჯერობით კონკრეტულად ვერავინ ამბობს იმას, გაგრძელდება თუ არა მათი მანდატის ვადა.

ბიზნესი

TNK-BP-ი "ჩრდილოეთ ნაკადის" მშენებლობაში ჩაერთვება

თინა შავაძე

რუსულ-ბრიტანული ჰოლდინგი TNK-BP-ი "ჩრდილოეთ ნაკადის" პროექტში მონაწილეობის შესაძლებლობას განიხილავს. კომპანიამ შესაბამისი წერილებით აქციონერებს BP-ის და AAR-ს, ასევე Nord Stream AG-ს უკვე მიმართა. ეს უკანასკნელი გაზსადენის მშენებლობის მთავარი ოპერატორია და მისი აქციების 51 პროცენტს "გაზპრომი" ფლობს.

"ინტერფაქსის" ინფორმაციით, როგორც წერილში აღნიშნულია, TNK-BP საბადო იამალას გაზის რეზერვების მონეტიზაციით არის დაინტერესებული. კომპანია აპირებს ამ მიზნის განსახორციელებლად Nord Stream AG-თან მჭიდროდ ითანამშრომლოს და სამოქმედო გეგმა დეტალურად გაწეროს.

როგორ ირკვევა, აქციონერების სახელზე გაგზავნილ წერილში TNK-BP-ი აღნიშნავს, რომ თუ ბრიტანული კომპანიის მენეჯმენტი, გარკვეული ანალიზის საფუძველზე, უარს განაცხადებს "ჩრდილოეთ ნაკადის" პროექტში მონაწილეობაზე, მაშინ TNK-BP საკითხის მოსაგვარებლად BP-ს დირექტორთა საბჭოს მიმართავს.

29 ივნისს გავრცელდა ინფორმაცია, რომ კომპანიამ "გაზპრომმა", რომელიც Nord Stream AG-ს აქციების 51 პროცენტს ფლობს, "ჩრდილოეთ ნაკადის" მესამე და მეოთხე განშტოების აშენება მიზანშეწონილად მიიჩნია.

როგორც მონოპლისტური კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ ალექსეი მილერმა განაცხადა, გაზსადენის ერთი-ერთი განშტოება დიდ ბრიტანეთშიც მიაღწევს.

ამჟამად, ევროპას საწვავი "ჩრდილოეთ ნაკადის" პირველი განშტოებით მიეწოდება, რომელიც 2011 წლის ნოემბერში გაუშვეს ექსპულატაციაში. გაზსადენის მეორე განშტოება, სავარაუდოდ, ოქტომბერში ამოქმედდება.

ცნობისათვის - 2 ივილსს TNK-BP-ს ხელმძღვანელმა და ერთ-ერთმა აქციონერმა მიხეილ ფრიდმანმა თანამდებობა დატოვა. მას დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა ბრიტანული კომპანიის აქციონერებთან. ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია, რომ რუსული ჯგუფი AAR-ი მზად არის, TNK-BP-ში BP-ს წილი გამოისყიდოს. ბრიტანულმა კომპანიამაც, თავის მხრივ, უკვე განაცხადა, რომ მზად არის, თავისი წილი გაყიდოს.

TNK-BP-ი ერთ-ერთი უმსხვილესი კერძო რუსული ნავთობკომპანიაა. 2011 წელს მან 84 მილიონი ტონა ნავთობი მოიპოვა, ხოლო მისმა წმინდა მოგებამ, დაახლოებით, 9 მილიარდი დოლარი შეადგინა.

Total-მა კასპიის ზღვაში გაზის საბადო აღმოაჩინა

თინა შავაძე

ფრანგულმა ნავთობკომპანიამ Total SA-მ კასპიის ზღვაში უმსხვილესი გაზის საბადო აღმოაჩინა. ჟურნალ Offshore-ის ინფორმაციით, საბადო აპშერონ X-2 ბლოკში აღმოაჩინეს და მისი რეზერვები, სავარაუდოდ, 10,5 ტრილიონ კუბურფუტს (140-280 მილიარდი კუბური მეტრი) შეადგენს.

ნაპოვნი საბადო, დაახლოებით, 270 კვადრატულ კილომეტრ ფართს მოიცავს. კომპანია მიზანშეწონილად მიიჩნევს, გააგრძელოს ბლოკის საზღვრების ძებნა.

Total-მა ოფშორში ბუნებრივი აირის ძიება 2009 წლის თებერვალში დაიწყო. აღნიშნული საბადო სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს და ბაქოსგან 100 კილომეტრით არის დაშორებული.

პირველ ეტაპზე ფრანგულმა კომპანიამ ჭაბურღილების შეზღუდული რაოდენობა გაბურღა.

მეორე ეტაპის საძიებო სამუშაოები რეზერვების მოცულობის ზუსტად განსაზღვრას მოიცავს. მომდევნო წელს Total-ი მიიღებს სრულ მონაცემებს ამ ადგილის სეისმური აქტივობის შესახებ.

კასპიის ოფშორში ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და წარმოების პროექტში Total-ი 40 პროცენტს ფლობს. იმავე რაოდენობის წილი ეკუთვნის აზერბაიჯანის სახელმწიფო კომპანია "სოკარს", ხოლო 20 პროცენტი - GDF Suez-ის საკუთრებაა.

პაკისტანში ყურანის დაწვაში ეჭვმიტანილი დაწვეს

ადგილობრივი პოლიციის ინფორმაციით, პაკისტანში პოლიციის შენობასთან შეკრებილი ხალხი «ლინჩის წესით» გაუსწორდა იმ ადამიანს, რომელიც ღვთისგმობაში იყო ეჭვმიტანილი. მამაკაცი ძალით გაიყვანეს პირდაპირ პოლიციის შენობიდან, სადაც მისი დაკითხვა მიმდინარეობდა. ის ეჭვმიტანილი იყო ყურანის დაწვაში. ეს ფაქტი ქალაქ ბაჰავალურში მოხდა. თვითმხილველების თქმით, მომხდარს ასობით ადამიანი ადევნებდა თვალს. პაკისტანში ღვთისგმობის შესახებ სადავო კანონი მოქმედებს, რომელიც დამნაშავის სიკვილით დასჯას ითვალისწინებს, თუმცა აქამდე იშვიათად მიდის საქმე.

პოლიციის განცხადებით, ყურანის შეურაცხყოფის გამო დააკავეს მამაკაცი, თუმცა მათ საქმის გამოძიებაც არ ჰქონდათ დაწყებული, როცა მისი სიკვდილით დასჯის მოთხოვნით პოლიციასთან ათასობით ადამიანი შეიკრიბა. პოლიციის ინსპექტორი გულამ მოჰიუდინი აღნიშნავს, რომ ხალხი ცრემლსადენი გაზითაც ვერ შეაჩერეს. ისინი პოლიციის განყოფილებაში შეცვივდნენ, ეჭვმიტანილი გამოიყვანეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს.

პოლიცია ახლა არკვევს დამწვარი მამაკაცის ვინაობას, რომელიც, სავარაუდოდ, ფსიქიკურად არამდგრადი იყო. ადამიანის მკვლელობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, თუმცა ამ დროისთვის არავინ დაუპატიმრებიათ.

რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ნაცისტურ სიმბოლიკაზე სასჯელს ამკაცრებს

რუსეთის სახელმწიფო სათათბირომ პირველი მოსმენით მიიღო კანონპროექტი, რომელიც ნაცისტური სიმბოლიკისა და ატრიბუტების დემონსტრირებაზე პასუხისმგებლობის გამკაცრებას გულისხმობს. დოკუმენტის თანახმად, სასჯელი ექსტრემისტური ორგანიზაციების სიმბოლიკის დემონსტრირებისთვისაც არის გათვალისწინებული. საუბარია, პირველ რიგში, ჯარიმის გაზრდაზე. არსებული კანონის თანახმად, ნაცისტური სიმბოლიკის სახალხოდ ჩვენებისა და პროპაგანდისთვის ითვალისწინებს ჯარიმას 500-დან 1000 რუბლამდე. ახალი კანონის თანახმად, სამოქალაქო პირისთვის ჯარიმა 2000 რუბლამდე გაიზრდება, იურიდიული პირისათვის - 4000 რუბლამდე, თანამდებობის პირთათვის კი - 10 000-დან 50 000 რუბლამდე.

ამასთან, კანონში შედის "ექსტრემისტული ორგანიზაციების სიმბოლიკის" განმარტება, რომელიც ადრე კანონმდებლობაში არ იყო მოცემული. ადამიანის უფლებადამცველები მთლიანობაში ინონებენ ახალ კანონს, თუმცა შიშობენ, რომ იგი ოპოზიციურ ძალებთან ბრძოლის კიდევ ერთ საშუალებად არ იქცეს. "სრულიად შესაძლებელია, მთელ რიგ შემთხვევაში, ეს კანონი ოპოზიციური ორგანიზაციებისა და უფლებადამცველების წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული," - აღნიშნავს რუსი უფლებადამცველი ალექსანდრ ბროდი.

არაფატის ქვრივი პალესტინის ყოფილი ლიდერის ექსჰუმაციას ითხოვს

ოთხშაბათს პალესტინის ყოფილი ლიდერის იასირ არაფატის ქვრივმა განაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც მისი მეუღლის პირად ნივთებში რადიოაქტიური ნივთიერება აღმოაჩინეს, შესაძლო მოწამვლის დასადგენად გვამის ექსჰუმაცია სურს. შვედი ექიმის თქმით, მათ არაფატის ნივთებზე მომწამვლელი პოლინიუმ 210-ის მაღალი დოზა აღმოაჩინეს, თუმცა ეს არ ამტკიცებს, რომ არაფატის დაღუპვა მოწამვლამ გამოიწვია. "ერთადერთი გზა ამის გასარკვევად სხეულის გასინჯვა იქნება," - აღნიშნავს ფრანსუა ბოშუდი.

არაფატი 2004 წელს პარიზის სამხედრო საავადმყოფოში გარდაიცვალა. მისი მოწამვლის შესახებ ხმები მაშინვე გავრცელდა, თუმცა პალესტინელი ოფიციალური პირები აღნიშნულს კატეგორიულად უარყოფდნენ. პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ჰანან აშრავი ამბობს, რომ არაფატის ექიმებს ესაუბრა და მათ მოწამვლის შესაძლებლობა არ გამორიცხეს: "თუმცა, ჩვენ არ გვაქვს არავითარი მტკიცებულება. აღნიშნული მოხსენება კი ემთხვევა ჩვენს ეჭვებს, რომ ის მოწამლეს, კერძოდ პოლონიუმით," - აღნიშნავს აშრავი. პალესტინის ავტონომიის ადმინისტრაციას ექსჰუმაციის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ ამას პოლიტიკოსის სიკვდილის მიზეზების გამოძიების კომისია მოითხოვს.

"ფუკუსიმას" ავარიის მიზეზი ადამიანური ფაქტორი გახდა"

იაპონიის საპარლამენტო კომიტეტის განცხადებით, ატომურ ელექტროსადგურ "ფუკისიმა 1"-ზე მომხდარი ავარიის მიზეზი ადამიანის ქმედება გახდა. მოხსენების ავტორთა თქმით, შესაძლებელი იყო ავარიის პროგნოზირება და მოვლენების კატასტროფული განვითარების თავიდან აცილება. "ატომური სადგური არ იყო მზად არც ძლიერი მიწისძვირის, არც ცუნამის დარტყმისთვის," - ნათქვამია მოხსენებაში, სადაც ჩამოთვლილია არაერთი შეცდომა, რომლებიც დაუშვეს როგორც მთავრობამ, ასევე კომპანიამ TEPCO-მ, რომელსაც ატომური ელექტროსადგური ეკუთვნის.

მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ ავარიის კიდევ ერთი მიზეზი იყო იაპონური კულტურისთვის დამახასიათებელი თვისება - კერძოდ ის, რომ ამ ქვეყანაში მიღებული არ არის უფროსებთან შეკამათება. ავარიის მიზეზების გამოძიების კომიტეტი პარლამენტმა 2011 წლის მაისში შექმნა.

ამასთან, გუშინ იაპონიაში ავარიის შემდეგ პირველად კვლავ აამოქმედეს ატომური რეაქტორი. ეს გადაწყვეტილება ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა იოსიხიკო ნოდამ მიიღო. პრემიერის თქმით, ქვეყანა ბირთვულ ენერგიას ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისა და მომდევნო წლებში ელექტროენერგიის უკმარისობის თავიდან აცილებისთვის დაუბრუნდა.

მოამზადა თამთა კახაძემ

უკრაინაში საპროტესტო ტალღა აგორდა

აქცია ლვოვში

კიევის ცენტრში, "უკრაინული სახლის" წინ აქცია უკვე მესამე დღეა, მიმდინარეობს. აქციებია ქვეყნის სხვა ქალაქებშიც. ხელისუფლება და მმართველი პარტია იხტიბარს არ იტეხს, მაგრამ იგრძნობა, რომ ისინიც მთლად მყარად ვერ არიან. გუშინ, დღის განმავლობაში, რამდენიმე ვარიანტი წამოაყენეს, თუ როგორ უნდა გადალახონ ვლადიმირ ლიტვინის უარი, ხელი მოაწეროს "მიღებულ" კანონპროექტა. მისი გადადგომა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია და ეს საკითხი რადამ დღეს უნდა განიხილოს - ცხადია, კვორუმის არსებობის შემთხვევაში, რაც ამ პირობებში ცოტა საეჭვოა.

დარღვევებით მიღებული კანონის ხელმოწერაზე ლიტვინის უარმა, ფაქტობრივად, გააცოფა მმართველი პარტია. დღის პირველ ნახევარში განიხილებოდა ლიტვინის ჩანაცვლების ვარიანტი მისი პირველი მოადგილით ადამ მარტინიუკით, რომელმაც 3 ივლისს სპიკერის არყოფნის დროს კანონპროექტი მოულოდნელად დააყენა კენჭისყრაზე. შემდეგ "რეგიონების პარტიის" ფრაქციის ლიდერი პარლამენტში ალექსანდრ ეფრემოვი ლიტვინს სასამართლოში ჩივილითაც დაემუქრა. ეფრემოვის სიტყვებით, არ შეიძლება, პარლამენტი ერთი ადამიანის მძევალი იყოს და უმრავლესობით მიღებული კანონი პრეზიდენტთან მხოლოდ იმის გამო ვერ გადაიგზავნოს, რომ მას სპიკერი არ აწერს ხელს. მეორე მხრივ, მან ისიც აღიარა, რომ კანონში არსად წერია, როგორ ისჯება სპიკერი ასეთ შემთხვევაში. დღის ბოლოს გადაწყდა, რომ უმაღლესი რადა ლიტვინის გადადგომის საკითხს (მან გუშინ რადაში განცხადება წერილობითაც წარადგინა) დღეს, საგაზაფხულო სესიის ბოლო სხდომაზე განიხილავს. თუ ამ სკანდალური კანონის საკითხი ვერ გადაწყდება, შეიძლება, პარლამენტი ივლისის მეორე ნახევარში ერთიორი დღით რიგგარეშე სესიაზეც შეიკრიბოს. როგორც ჩანს, ხვდებიან, რომ ლიტვინის გადაყენებამდე მარტნიუკის ხელმოწერა კანონიერი ვერ იქნება. მიმომხილველების აზრით, რადას გამოცდილმა და პოლიტიკურ მანევრირებაში გამოწრთობილმა ლიტვინმა (ის კუჩმას ხელისუფლების წევრიც იყო, კარგი ურთიერთობა ჰქონდა ნარინჯისფერ ხელისუფლებასთანაც და ვიქტორ იანუკოვიჩთანაც) კარგად იცის, რომ სპიკერის გადასაყენებლად საჭიროა, სხდომაზე, მინიმუმ, 300 დეპუტატი დარეგისტრირდეს, რაც ამ პირობებში, როდესაც ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმშია, არარეალურია.

გუშინვე უკრაინულ პრესაში გამოქვეყნდა სტენოგრამა, რომელიც ადასტურებს, რომ კანონის მიღებისას პროცედურა დაირღვა. თუმცა ამან ხელისუფლების აგრესიულობა ვერ შეამცირა.

3 ივლისს კიევის ცენტრში "უკრაინულ სახლთან" შეკრებილი მომიტინგეები არ დაშლილან. პრინციპში, მათ არც პოლიცია შეხებიათ. დღემ მშვიდობიანად ჩაიარა. თუმცა მრავალრიცხოვანი აქციები ჩატარდა სხვა ქალაქებშიც - კერძოდ, დნეპროპეტროვსკში, ივანო-ფრანკოვსკსა და ლვოვში. მომიტინგეებმა ლვოვთან ოთხი საერთაშორისო ავტომაგისტრალი ნახევარი საათით გადაკეტეს. ამასთან, კანონი რომ არ დაერღვიათ, ისინი გადასასვლელზე წინ და უკან მოძრაობდნენ. ოპოზიციონერები იმუქრებიან, რომ ეს იყო გამაფრთხილებელი აქცია და თუ ხელისუფლება "ენის კანონს" არ გააუქმებს, გამოსვლებიც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება და გზებიც უფრო დიდი ხნით გადაიკეტება.

გუშინ უკრაინაში შექმნილ სიტუაციას ციხიდან (უფრო სწორად, საავადმყოფოდან) გამოეხმაურა ექს-პრემიერი იულია ტიმოშენკო (მის არყოფნაში საკმაოდ დაქსაქსული ოპოზიციის ლიდერად ნელ-ნელა და წინააღმდეგობებით, მაგრამ მაინც ყალიბდება არსენი იაცენიუკი, რაც ლოგიკური და მოსალოდნელიც იყო). ტიმოშენკოს განცხადება მისმა ადვოკატმა, პარლამენტის წევრმა სერგეი ვლასენკომ გაავრცელა. ტიმოშენკოს აზრით, ამ კანონით იანუკოვიჩმა ომი გამოუცხადა არა ოპოზიციას ან დემოკრატიულ ფასეულობებს, არამედ დამოუკიდებელ უკრაინას. იულია ტიმოშენკომ, ისევე როგორც ერთი დღით ადრე ვიქტორ იუშჩენკომ, ხალხს მოუწოდა, რომ უკანდასახევი გზა აღარ არის და ამ ხაზის დათმობის შემდეგ "უკან მხოლოდ უდაბნოა".

მექსიკაში ხმებს ხელახლა დათვლიან

სალომე ჯანიაშვილი

მექსიკის საარჩევნო კომისია საპრეზიდენტო არჩევნების ბიულეტენების ნახევარზე მეტის გადათვლას დათანხმდა და ამით რევოლუციურ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატ ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორის მოთხოვნას დათანხმდა. მექსიკის საარჩევნო ორგანოებმა საპრეზიდენტო არჩევნების დროს აღმოჩენილი შეუსაბამობების შესახებ განაცხადეს და ხმების გადათვლა სწორედ ამიტომ გადაწყვიტეს.

ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორი, ფაქტობრივად, არჩევნების შედეგების გამოცხადებისთანავე ითხოვდა ხმების მთლიანად გადათვლას. იგი საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგების მიხედვით მეორე ადგილზე გავიდა. ობრადორმა ლიდერი კანდიდატი ენრიკე პენია ნიეტო საარჩევნო კანონის დარღვევაში დაადანაშაულა. ნიეტო, რომელიც ინსტიტუციონალურ-რევოლუციურ პარტიას წარმოადგენს, ხმების ყიდვის შესახებ მისთვის წაყენებულ ბრალდებას უარყოფს. წინასწარი შედეგების მიხედვით, ნიეტომ ობრადორზე 6 პროცენტით მეტი ხმა მიიღო.

ობრადორმა სამშაბათს განაცხადა, რომ არჩევნები მრავალი დარღვევით ჩატარდა. მისი თქმით, როდესაც ამდენ დარღვევას აქვს ადგილი, ხმების გადათვლა აუცილებელია. კანდიდატის განცხადებით, ამ არჩევნებს არ შეიძლება გამჭვირვალე და სამართლიანი ეწოდოს. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ნიეტოს პარტიამ იმაზე მეტი თანხა დახარჯა, ვიდრე საარჩევნო კამპანიის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

მექსიკის საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, ხმების გადათვლა სამ შემთხვევაში შეიძლება: თუ საბოლოო ოქმებში შეუსაბამობაა; თუ ორი კანდიდატის ხმებს შორის სხვაობა 1 პროცენტზე ნაკლებია; თუ ყველა ხმა რომელიმე საარჩევნო უბანზე მხოლოდ ერთი კანდიდატის სასარგებლოდ არის მიცემული.

ფედერალური საარჩევნო ინსტიტუტის აღმასრულებელმა მდივანმა ედმუნდო ხაკობომ განაცხადა, რომ ხმების გადათვლა "გახსნილობის და გამჭვირვალეობის გამოვლინება" იქნება. მისი ინფორმაციით, 143 ათასი საარჩევნო უბნიდან 78 ათასი უბნის ბიულეტენებს გადათვლიან. ხელისუფლებამ, როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილება "იუთუბი"-ზე განთავსებული ვიდეოს გამო მიიღო, რომელშიც ხალხი ჰყვება, რომ ხმების სანაცვლოდ სუპერმარკეტში ფასდაკლებას იღებდნენ.

ობრადორის მხარდამჭერებისთვის ხმების გადათვლა სასიამოვნო ახალი ამბავი იყო, რომელსაც დიდხანს ელოდნენ. მათ საარჩევნო პროცესში დარღვევებზე თითქმის არჩევნების დასრულებისთანავე განაცხადეს და ხმების ფალსიფიკაციის შესახებ გავრცელებული ინფორმაციის გამოძიება და შესაბამისი ზომების მიღება მოითხოვეს.

ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც დემოკრატიულ-რევოლუციური პარტიის კანდიდატი არჩევნების შედეგებს არ ცნობს. ასე მოხდა 2006 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროსაც, როდესაც ობრადორი ამტკიცებდა, რომ სინამდვილეში სწორედ თავად გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში და არა ფელიპე კალდერონმა, რომელიც გახდა კიდეც პრეზიდენტი მეორე ვადით.

ნიეტო, თავს მხრივ, უარყოფს მის მიმართ წაყენებულ ყველა ბრალდებას. ეს მან "ბი-ბი-სი"-ს კორესპონდენტ უილ გრანტთან საუბრის დროსაც დაადასტურა. ნიეტო დარწმუნებულია, რომ მისი "პარტია მოქმედებდა კანონის ფარგლებში". ლიდერ კანდიდატს ეჭვი არ ეპარება, რომ მექსიკელებმა საკუთარი ნება გამოხატეს, მხარი მას დაუჭირეს და მან 3,2 მილიონი ხმით მეტი აიღო, ვიდრე მისმა უახლოესმა კონკურენტმა ობრადორმა. ნიეტომ ისიც განაცხადა, რომ გაბრაზებულია, რადგან ობრადორმა, დაპირების საწინააღმდეგოდ, არ აღიარა არჩევნების შედეგები.

ცნობისათვის - გასულ კვირას პრეზიდენტობის ყველა კანდიდატმა ხელი მოაწერა ე.წ. "კეთილი ნების პაქტს", როლის თანახმადაც პრეზიდენტობის ოთხმა კანდიდატმა - ენრიკე პენია ნიეტომ, ანდრეს მანუელ ლოპეს ობრადორმა, ჯოსეფინა ვასკესმა და გაბრიელ კუადრიმ პირობა დადეს, რომ ცნობდნენ არჩევნების შედეგებს, მიუხედავად იმისა, თუ ვინ იქნებოდა გამარჯვებული. გარდა ამისა, "პაქტის" მიხედვით, კანდიდატები დებდნენ პირობას, რომ არჩევნების გაყალბებისთვის არ მიმართავდნენ სხვადასხვა მეთოდებს - მათ შორის, ამომრჩეველთა მოსყიდვას.

"თბილისის საოპერო ფესტივალი" პირველად

პირველი გვერდიდან

"თბილისის საოპერო ფესტივალის" საბაზო კოლექტივია ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, მისი სოლისტები, გუნდი (მთავარი ქორმაისტერი - ავთანდილ ჩხენკელი, ქორმაისტერი - შალვა შაორშაძე), სიმფონიური ორკესტრი (კონცერტმაისტერი - ლელა მჭედლიძე). ფესტივალის სპეციალური სტუმრები არიან - სახელგანთქმული ახალგაზრდა მევიოლინე ვალერი სოკოლოვი, ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი (ბეირუთი, ლიბანი), საზღვარგარეთ წარმატებით მოღვაწე ახალგაზრდა ქართველი მომღერალი რამაზ ჩიკვილაძე, რომელიც ატილას პარტიას შეასრულებს ვერდის "ატილაში", სადაც თბილისის ოპერის თეატრის გუნდთან ერთად იმღერებს ანტონინის უნივერსიტეტის გუნდიც. "თბილისის საოპერო ფესტივალის" აუდიტორია შეხვდება ოპერის თეატრის სოლისტებს: გია ასათიანს, მაყვალა ასპანიძეს, სულხან გველესიანს, გოჩა დათუსანი-ჯიღაურს, არმაზ დარაშვილს, თეა დემურიშვილს, ლეგი იმედაშვილს, მანანა იორდანიშვილს, ნიკოლოზ ლაგვილავას, გიორგი მახარაძეს, ირაკლი მურჯიკნელს, ელენა პუტილოვას, ირინე რატიანს, თამაზ საგინაძეს, მიშელინა ქობალიანს, ტარიელ ჭიჭინაძეს, ზაალ ხელაიას, ანზორ ხიდაშელს. საფესტივალო საღამოებს წარუძღვება იტალიელი დირიჟორი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მუსიკალური ხელმძღვანელი ჯანლუკა მარჩანო.

- "საუკუნეების მანძილზე თბილისს საოპერო ხელოვნების ჭეშმარიტ კერად მიიჩნევდნენ. ქართული ვოკალური სკოლის წარმომადგენლები დღესაც ბრწყინავენ მსოფლიო საოპერო სცენებზე და აღაფრთოვანებენ ოპერის მოყვარულებს.

საოცარია "ოპერის სამყარო" ათასგვარი ამბებით - კომპოზიტორთა, დირიჟორთა, მომღერალთა "თავგადასავლებით" აღსავსე...

რამდენი წიგნი დაწერილა ამ სამყაროზე, რამდენი ფილმი გადაღებულა, ხელოვნების რამდენი ნიმუში, რამდენი სატელევიზიო გადაცემა შექმნილა მხოლოდ ერთი მიზნით - სრულყოფილად გადმოეცა ის შეგრძნებები, რომლებიც მუდამ თან გვდევს ამ ზღაპრულ სამყაროში მოგზაურობისას.

ეს პროცესი კიდევ დიდხანს გაგრძელდება, მაგრამ ვერაფერი შეცვლის ცოცხალ ურთიერთობას სცენასა და მაყურებელს შორის, უხილავი ძაფებით რომ მიგაჯაჭვებს სცენას და გავიწყებს რეალობას.

სწორედ ასეთ ურთიერთობებს ეძებს ოპერის ჭეშმარიტი მსმენელი, სწორედ ამ შეგრძნებების ხელმეორედ განცდისთვის დავდივართ სხვადასხვა ქალაქებში ოპერის მოსასმენად, დავხეტიალობთ სხვადასხვა მუსიკალურ მაღაზიებში, ვაგროვებთ ჩანაწერებს, წიგნებს, მაგრამ დამეთანხმებით, ვერაფერი შეედრება დარბაზში სმენისას წარმოქმნილ ზეციურ ველს, რომელიც სცენაზე მდგარსა და მაყურებელს შორის იქმნება.

ლიბანის გუნდი

ამ ხელოვნების მიმართ უზომო სიყვარულმა მაფიქრებინა საოპერო ფესტივალის შექმნა. თუმცა, ეს ჩემი ან ჩვენი თეატრის პირდაპირი მოვალეობა არ გახლავთ. ვოცნებობდით გამოჩენილიყო ვინმე, ვინც დააფუძნებდა ფესტივალს, სადაც სხვებთან ერთად, ჩვენ ერთ-ერთ მონაწილედ მოგვიწვევდა ყოფნა. მოგეხსენებათ, მაღალი რანგის ფესტივალის ჩატარებას ძალიან დიდი შრომა, ბევრი ადამიანი და თავდადება სჭირდება. ამ საქმის ხორცშესხმას ახალი ორგანიზაცია და სტრუქტურა სჭირდება. დიდხანს ველოდე იმ ადამიანს, რომელიც შექმნიდა საქართველოში, - სადაც სამი საოპერო თეატრია, - საერთაშორისო ფესტივალს, მაგრამ მიუხედავად ბევრი ლაპარაკისა, ასეთი მაინც არავინ გამოჩნდა...

და აი, მე და ჩემმა მეგობრებმა: ჩვენი ოპერის სოლისტებმა, ორკესტრის მუსიკოსებმა, ადმინისტრაციის წევრებმა, გადავწყვიტეთ დამოუკიდებლად დაგვეარსებინა "თბილისის საოპერო ფესტივალი", - ჯერჯერობით მოკრძალებული მასშტაბით, მაგრამ ჩვენი თეატრისთვის ისტორიულად უმნიშვნელოვანეს პერიოდში!

ვიმედოვნებ, რომ ამ ფესტივალს საუკუნეების მანძილზე ეყოლება ერთგული მაყურებელი.

ვისურვებ რომ ჩვენს მაყურებელსა და მსმენელს არსად წასვლა და ხეტიალი არ მოუწიოთ ნამდვილი, ჭეშმარიტი საოპერო თავგადასავლების საძიებლად და ეს ყველაფერი ჩვენს "თბილისის საოპერო ფესტივალზე" ეპოვოთ!", - ამბობს ფესტივალის დამფუძნებელი დავით საყვარელიძე.

გაგაცნობთ "თბილისის საოპერო ფესტივალის" სპეციალური სტუმრების შემოქმედებით ბიოგრაფიებს:

ანტონინის უნივერსიტეტის გუნდს მე-20 საუკუნის 80-იანი წლებიდან დიდი წვლილი შეაქვს ლიბანის კულტურულ ცხოვრებაში.

გუნდის რეპერტუარი ფოკუსირებულია წმ. ანტონინის ორდენის მუსიკალურ ტრადიციებზე, თუმცა, მდიდარია კლასიკური და თანამედროვე მუსიკითაც. ანტონინის უნივერსიტეტის გუნდს კონცერტები გამართული აქვს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებსა და ქალაქებში: რომი, ნიცა, ლიონი, მონაკო, სენტ-ეტიენი, დოჰა, დუბაი, ალ აინი, არაბთა გაერთიანებული საემიროები, იორდანია, კვიპროსი და სხვა... გუნდმა მონაწილეობა მიიღო ალ აინის კლასიკური მუსიკის VIII ფესტივალში მოცარტის ოპერით "დონ ჟუანი" და ალ აინის კლასიკური მუსიკის IX ფესტივალში მოცარტის ოპერით "ფიგაროს ქორწინება". 2008 წლიდან გუნდი მონაწილეობს ალ ბუსტანის საერთაშორისო ფესტივალში და ბეირუთის რელიგიური მუსიკის ფესტივალში "ბეირუთული გალობები". 2010 წელს ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი წარსდგა ნიუ იორკის კარნეგი-ჰოლში. 2010 და 2011 წლებში გუნდი მონაწილეობდა ბიბლოსის საერთაშორისო ფესტივალში, 2011 წელს ასევე მონაწილეობდა ბაალბეკის საერთაშორისო ფესტივალშიც. გუნდი თანამშრომლობს ლიბანის ეროვნულ სიმფონიურ, სომხეთის ფილარმონიულ, ვარშავის ფილარმონიულ ორკესტრებთან, ახალი ინგლისის სიმფონიურ ანსამბლთან, "ოპერა რომანია ტიმიზორასთან" და სხვა...

ანტონინის უნივერსიტეტის გუნდი თანამშრომლობს ცნობილ დირიჟორებთან: კრისტოფ სლოვინსკი, ფრანჩესკო ჩილუფო, დავიდ გრეჩენცი, ზბიგნევ გრაცკა, პაოლო ოლმი, ვალენტინო მიზერახსი, ვალიდ ღოლმიე, ჰარუთ ფაზლიანი, ვოიცეხ ცზეპიელი, რობ ვერმოლენი, ჯონანა ნეიჩეფი, მარკო ბერდონდინი, ჯანლუკა მარჩანო...

ანტონინის უნივერსიტეტის გუნდს გამოცემული აქვს მარონიტების რელიგიური მუსიკალური ტრადიციების მრავალრიცხოვანი ჩანაწერები. 2012 წლის ოქტომბერში გუნდი წარსდგება პარიზში ფესტივალზე "ილ დე ფრანს".

ვალერი სოკოლოვი დაიბადა 1986 წელს ხარკოვში. 1999 წელს იგი დააჯილდოვეს სასწავლო გრანტით პამპლონაში, პაბლო სარასტეს სახელობის კონკურსზე, რამაც საშუალება მისცა გაეგრძელებინა სწავლა ნატალია ბოიარსკაიასთან იეჰუდი მენუჰინის სახელობის სკოლაში, ინგლისში. 2005 წელს მოიპოვა "გრან პრი" ჯორჯ ენესკუს სახელობის საერთაშორისო კონკურსზე ბეთჰოვენის სავიოლინო კონცერტის შესრულებით, აგრეთვე დაიმსახურა პრიზი ენესკუს III სონატის "საუკეთესო შესრულებისათვის" და "ენესკუს ფონდის პრიზი".

ვალერი სოკოლოვზე მოთხოვნა გამუდმებით იზრდება სავიოლინო რეპერტუარის ყველაზე რთული ნაწარმოებების გასაოცრად მომწიფებული შესრულების გამო. მიმდინარე და სამომავლო გამოსვლებს შორის აღსანიშნავია კონცერტები საფრანგეთის ეროვნულ, პარიზის ფილარმონიულ, ევროპის კამერულ, ლივერპულის სამეფო ფილარმონიულ, სტოკჰოლმის სამეფო ფილარმონიულ, ბორდოს ეროვნულ, ნიდერლანდების სამეფოს რადიო-ფილარმონიულ ორკესტრებთან. აღსანიშნავია ასევე კონცერტები პეტერბურგის მარიას თეატრში, ვერბიეს, კოლმარის ფესტივალებსა და მისსავე საკუთარ ფესტივალზე ხარკოვში. 2011 წლის ოქტომბერში EMI/Virgin-ის ფირმის მიერ გამოიცა ციურიხის ტონჰალე-ორკესტრთან და დავიდ ცინმანთან ერთად ჩაწერილი ბარტოკისა და ჩაიკოვსკის ნაწარმოებები.

ვალერი თანამშრომლობდა დირიჟორებთან: ვლადიმერ აშკენაზი, ივორ ბოლტონი, ანდრეი ბორეიკო, სუზანა მელკი, იანიკ ნეზეტ-სეგენი, პიტერ უნჯიანი, ვასილი პეტრენკო, კვამე რაიანი, ჰიუბერტ სუდანი და იან პასკალ ტორტელიე. ვალერი სოკოლოვი გამოდიოდა მაღალი დონის ორკესტრებთან: როტერდამის ფილარმონიული, ტოკიოს სიმფონიური, მოცარტეუმის, ბრემენის დოიჩე კამერ-ფილარმონიული, კლივლენდისა და ჰალეს ორკესტრები; იგი წარსდგა ასპენის, სენ-დენისა და გშტაადის ცნობილ ფესტივალებზე. 2008 წელს შედგა მისი ამერიკული დებიუტი კარნეგი ჰოლში ბორის ტიჩენკოს კონცერტით ფორტეპიანოსა და ვიოლინოსათვის.

ვალერი სოკოლოვი არაერთხელ წარსდგა პარიზში შატლეს თეატრში, ლონდონის უიგმორ-ჰოლში და ლიონის აუდიტორიის "დიდი შემსრულებლების" სერიის კონცერტებზე. მონაწილეობა მიიღო კისინჯერ სომერის, ლოკენჰაუსის, რავენისა და მეკლენბურგ-ვორპომერნის ფესტივალებში, დაუკრა ლინკოლნის ცენტრში, ბადენ-ბადენის ფესტშპილჰაუსში, ესენის ფილარმონიაში, აგრეთვე ვანკუვერსა და ჰონგ-კონგში. იგი თანამშრომლობს ისეთ სახელგანთქმულ პიანისტებთან, როგორებიც არიან: კეთრინ სტოტი, ევგენი იზოტოვი და იგორ ლევიტი; ვიოლონჩელისტებთან - ლეონიდ გოროხოვთან და მაქსიმილიან ჰორნუნგთან.

EMI/Virgin-ის კლასიკთან დადებული ექსკლუზიური ხელშეკრულების საფუძველზე, ვალერი სოკოლოვი ქმნის ჩანაწერების მრავალფეროვან კატალოგს. 2009 წელს მან გამოსცა ენესკუს სონატა №3 პიანისტ სვეტლანა კოსენკოსთან ერთად. DVD-ზე ჩაწერილი მისი პირველი კონცერტი იყო სიბელიუსის სავიოლინო კონცერტი ვლადიმერ აშკენაზის დირიჟორობით ევროპის კამერულ ორკესტრთან ერთად, ასევე ბრუნო მონსენჟონის ფილმი ("ვიოლინო სულში, ან მევიოლინედ დაბადებული"), ვალერის გამოსვლა ტულუზაში 2004 წელს, რამაც კრიტიკოსების აღიარება დაიმსახურა და ხშირად გადაიცემა ARTE TV-ის ეთერში.

დღეს უკვე საკმაოდ ცნობილი მომღერალი რამაზ ჩიკვილაძე სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში (პროფესორ ნოდარ ანდღულაძის კლასი). მომღერლის დებიუტი შედგა 1995 წელს თბილისის ოპერის თეატრში. 2003 წელს რამაზ ჩიკვილაძე მიიწვიეს ბავარიის ოპერის სახელმწიფო თეატრში. იგი შემოქმედებითი სტუმრის სტატუსით მიწვეული იყო პეზაროს ფესტივალზე. სხვადასხვა დროს მღეროდა თელ-ავივის ოპერის თეატრში, 2005-2008 წლებში მოღვაწეობდა დორტმუნდის ოპერის თეატრში.

ამჟამად, რამაზ ჩიკვილაძე არის ბონის ოპერის თეატრის სოლისტი, სადაც მის რეპერტუარშია ზარასტროს, ოსმინის, დულკამარას და სხვა პარტიები, მომღერალი რეგულარულად მღერის იტალიაში: პალერმოს თეატრში - მღვდელ ფოტისს "ბერძნულ ვნებებში", სპარაფუჩილეს პარტიას კატანიის ბელინის თეატრში.

რამაზ ჩიკვილაძის რეპერტუარი მოიცავს მრავალ საოპერო პარტიას, რომლებითაც მომღერალი არაერთხელ წარსდგა მსოფლიოს ცნობილ საოპერო თეატრებსა და საკონცერტო სცენებზე: ატილა, ზაქარია, დულკამარა, ოსმინი, სილვა, სპარაპუჩილე, ბარტოლო, მეფისტოფელი, ფერანდო, ზარასტრო, კომანდორი, მონტერონე, გრემინი, მაზეპა და მრავალი სხვა.

თვე, როდესაც ბნელი რაინდი აღზევდება

"პრომეთეს" გაქირავება კიდევ ერთხელ გადაიდო, ვუდი ალენი კი ეკრანს დაუბრუნდა

ია ვეკუა

კადრი ვუდი ალენის ფილმიდან "რომს სიყვარულით"

იმედია, ოდესმე ჩვენი კინოგაქირავების ქსელი ისეთ დონეს მიაღწევს, რომ ზაფხულის სეზონის დადგომა ისევე გაგვახარებს, როგორც დანარჩენ მსოფლიოს, ყოველ შემთხვევაში, მის იმ ნაწილს მაინც, სადაც დიდ ეკრანზე მოძრავი საგნების დანახვაზე დარბაზიდან არ გარბიან; იმედია, მოვა დრო, როდესაც ყველაზე ხმაურიანი კინოჰიტები ჩვენს გაქირავებაში დროულად გამოვა და მათი გახმოვანების ხარისხი მაყურებელში აგრესიას არ გამოიწვევს; იმედია, შორს არ არის დრო, როდესაც რიდლი სკოტის "პრომეთე" ბოლოს და ბოლოს ქართულ ეკრანზეც გაიელვებს და ეს მანამდე მოხდება, ვიდრე ლოდინით დაღლილი მაყურებელი ფილმის გადმოტვირთვას ტორენტებიდან დაიწყებს. როგორც ჩვენი კინოთეატრები გვპირდება, ეს, სავარაუდოდ, აგვისტოში მოხდება, მანამდე კი ივლისის აფიშას გვიანონსებენ - საბედნიეროდ, ამ თვეში ერთი ისეთი ფილმი მაინც გამოდის, რომელიც კინომანიაკებს "პრომეთეს" ლოდინს ოდნავ მაინც შეუმსუბუქებს.

ცხადია, საუბარია კრისტოფერ ნოლანის "ბნელი რაინდის აღზევებაზე", რომელიც ჩვენს გაქირავებაში 26 ივლისიდან გამოვა, მასზე დასასწრები ბილეთების შეძენა კი პრემიერამდე ორი დღით ადრე უკვე შესაძლებელი იქნება. ამრიგად, თუ გინდათ, ეს ფილმი ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთმა პირველმა ნახოთ, მაშინ სალაროსთან დადარაჯება მოგიწევთ, რადგან თქვენნაირი ბევრია... "ბნელი რაინდის აღზევება" მსოფლიოშიც ამ დღეს გამოდის, თუმცა ის უკვე ნახა რამდენიმე ავტორიტეტულმა კინოკრიტიკოსმა, რომლებმაც ამ ექშენ ფილმისთვის უმაღლესი შეფასებები არ დაიშურეს, ამრიგად 26 ივლისამდე შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ - წინ ნამდვილად კარგი სანსახაობა გველის.

სხვანაირად არც შეიძლება, რადგან ფილმის ავტორი თანამედროვე ჰოლივუდის ერთ-ერთი ავტორიტეტული რეჟიოსორი კრისტოფერ ნოლანია. ამ რეჟისორმა კარგად იცის, სანახაობისა და ისტორიის შეჯერებით როგორ მოახდინოს მაყურებელზე ზემოქმედება, რაც ბეტმენზე გადაღებული წინა ორი ფილმით, "პრესტიჟით", "მემენტოთი" და "დასაწყისით" უკვე დაამტკიცა. ნოლანმა ძალიან მარტივად შეძლო ბეტმენის ირგვლივ შექმნილი ტიმ ბარტონის მითის დანგრევა და უკვე არსებული ფრენჩაიზის სრულიად ახალი ვერსია შემოგვთავაზა. "ბნელი რაინდის აღზევებით" ნოლანი წყვეტს გოთემს სითის აჩრდილზე ფილმების გადაღებას, რაც სულაც არაა გულდასაწყვეტი - პირიქით, ნამდვილად საინტერესოა, რა ახალი იდეები ტრიალებს ამ რეჟისორის გონებაში.

19 ივლისს გაქირავებაში "ფიფქია და მონადირე" გამოვა. ეს ფილმი ჩვენს კინოთეატრებში ჯერ კიდევ წინა თვეში უნდა გამოსულიყო, მაგრამ "პრომეთეს" მსგავსად ისიც გზაში აორთქლდა (თუმცა, როგორც ირკვევა, რიდლი სკოტის ნამუშევარს ნაკლებად გაუმართლა). ამ ფილმს, სავარაუდოდ, ბევრი მაყურებელი ელოდება, ძირითადად მოზარდები, სწორედ ისინი, რომლებიც "თვაილაითზე" და მსგავს უმსგავსოებებზე გიჟდება, თუმცა აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუპერტ სანდერსის "ფიფქია" მეტ-ნაკლებად შორს დგას აღნიშნული ვამპირული საგისგან და საერთო ალბათ მხოლოდ ის აქვს, რომ ორივე ფილმში კრისტენ სტიუარტი თამაშობს (თუ მის თამაშს შეგვიძლია თამაში ვუწოდოთ). "ფიფქია და მონადირეს" საუკეთესო ნაწილი უდავოდ შარლიზ ტერონის ბოროტი დედოფალია, რომელიც ტარსემ სინჰის ფილმის "სარკევ, სარკევ" დედოფლისგან (ჯულია რობერტსი) რადიკალურად განსხვავდება.

ვუდი ალენის კინოს მოყვარულებს 12 ივლისიდან მისი ბოლო ფილმი "რომს სიყვარულით" (ჩვენს გაქირავებაში "რომის არდადეგები") ელის. ფილმში ტრადიციულად უამრავი ცნობილი მსახიობი თამაშობს, თუმცა უფრო მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ 2006 წელს გამოსული "სენსაციის" შემდეგ ვუდი ალენი თავადაც დაუბრუნდა ეკრანს. ამ ფილმით ამერიკელი რეჟისორი ევროპული ქალაქების სერიას აგრძელებს და ბარსელონასა და პარიზის შემდეგ იტალიის დედაქალაქში რობერტო ბენინისთან, პენელოპე კრუსთან, ჯესი ეიზენბერგთან, ელენ პეიჯისთან, ალეკ ბოლდუინთან, ორნელა მუტისთან და სხვა იტალიელ მსახიობებთან ერთად დასეირნობს.

12 ივლისს გაქირავებაში ესპანური ფილმი "ციდან სამ მეტრზე: შენთან მინდა" გამოდის. ეს არის სასიყვარულო დრამა სოციალური გარნირით, რომლის ცენტრალური ფიგურაც ლონდონიდან შინ დაბრუნებული აჩეა. მას აქ ყველაფერი შეცვლილი ხვდება, ამიტომ ახალი ცხოვრებიზს დაწყების ნაცვლად ძველის აღდგენას ამჯობინებს. ფერნანდო გონსალეს მოლინას ნამუშევარს საკმაოდ კარგი გამოხმაურებები აქვს, ამიტომ მისი ნახვა ნამდვილად ღირს.

აქვე შეგახსენებთ, რომ გუშინ ჩვენს გაქირავებაში მარკ უების "საოცარი ადამიანი ობობა" გამოვიდა, რომლის ჩვენებაც თვის ბოლომდე გაგრძელდება.

"HSBC საქართველომ" ლიკვიდაცია დაიწყო

ბრიტანულმა ბანკმა ბაზარი 2011 წლის სექტემბერში დატოვა

ნინო ნატროშვილი

"HSBC საქართველოს" ლიკვიდაცია, სავარაუდოდ, კვირის ბოლოს დასრულდება. ბანკში ლიკვიდაციის მმართველი "საქართველოს ეროვნულმა ბანკმა" ერთი კვირის წინ დანიშნა.

"HSBC საქართველო" ვალდებულია, ლიცენზიის გაუქმებიდან 10 დღის ვადაში "საქართველოს ეროვნულ ბანკს" სალიცენზიო მოწმობა დაუბრუნოს.

ლიცენზიის გაუქმების შემდეგ ხდება ბანკის ლიკვიდაცია. ამ პროცესის დასრულებამდე ბანკმა უნდა შეასრულოს თავისი საქმიანობის ყველა ვალდებულება. "HSBC საქართველოს" ყველა ვალდებულება შესრულებული აქვს, ამიტომ საფინანსო ინსტიტუტის ლიკვიდაციის პროცესი არ შეფერხდება.

"HSBC საქართველომ" საბანკო საქმიანობის ლიცენზია 2007 წლის 30 ივლისს აიღო. ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტის 2012 წლის 28 ივნისის შესაბამისი განკარგულებით, ბანკს აღნიშნული ლიცენზია გაუუქმდა.

ბრიტანული ბანკის ქართულმა ფილიალმა საქართველოში საქმიანობა საკუთარი სურვილით შეწყვიტა.

ბანკმა ბიზნესის შეწყვეტის შესახებ პირველად 2011 წლის სექტემბერში განაცხადა. "HSBC საქართველოს" მფლობელებმა ეს გადაწყვეტილება ბაზრის სიმცირის გამო მიიღეს.

ბაზრიდან გასვლის შესახებ განაცხადის გაკეთების შემდეგ, "HSBC საქართველოს" საცალო პორტფელი ფრანგული "სოსიეტე ჟენერალის" წევრმა ბანკმა "რესპუბლიკამ" იყიდა. მხარეებს შორის გრიგება 2011 წლის დეკემბერში შედგა.

გარიგების თანხა კონფიდენციალურობის მოტივით არ დასახელებულა, თუმცა HSBC-ის ინფორმაციით, ამ პორტფელის მთლიანი ღირებულება, 2011 წლის 23 ნოემბრის მდგომარეობით 4.5 მლნ დოლარს შეადგენდა.

ბანკი "რესპუბლიკა" საქართველოში აქტივების მიხედვით რიგით მეხუთე ადგილზეა. 2012 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, "HSBC საქართველოს" წმინდა მოგება 2,737 მლნ ლარს შეადგენდა, აქტივები - 75,547 მლნ ლარს, ვალდებულებები - 38,487 მლნ ლარს, სააქციო კაპიტალი - 37,061 მლნ ლარს.

"HSBC საქართველოს" ლიცენზიის გაუქმების შემდეგ ადგილობრივ ბაზარზე 18 კომერციული ბანკი ოპერირებს.

საბანკო სექტორის წმინდა მოგება განუხრელად იზრდება. საერთაშორისო სარეიტინგო კომპანია Fitch-ის ინფორმაციით, 2011 წლის ბოლოს ბაზარზე "საქართველოს ბანკის" აქტივების წილი 36 პროცენტი იყო, "თიბისი ბანკის" - 27 პროცენტი, ხოლო "პროკრედიტის" - 9 პროცენტი.

ივნისის ბოლოს Fitch-მა საქართველოს ბაზარზე მოქმედ ბანკებს ახალი საკრედიტო რეიტინგი განუსაზღვრა.

"თიბისის" და "პროკრედიტ" ბანკების მდგრადობის რეიტინგი B+ დან BB- მდე ამაღლდა. "საქართველოს ბანკის" მდგრადობის რეიტინგი BB- ით განისაზღვრა. Fitch-მა "საქართველოს ბანკს" გრძელვადიანი რეიტინგი B+ დან BB- მდე აუმაღლა.

"თიბისი ბანკისთვის", "პროკრედიტ ბანკისთვის" და "საქართველოს ბანკისთვის" რეიტინგების აწევა კაპიტალიზაციის და ლიკვიდურობის მაღალმა მაჩვენებელმა განაპირობა. თუმცა სარეიტინგო სააგენტოს ანალიტიკოსები საქართველოს საბანკო სექტორის შეფასებისას რეფინანსირების რისკზე საუბრობენ. საქართველოში ბანკების დაფინანსების წყარო საერთაშორისო ფინანასური ინსტიტუტებია.

Fitch-ის შეფასებით, ამ სამი ბანკის რეიტინგის ზრდას რისკ-მენეჯმენტის ხარისხიანი მართვა და კლიენტების კარგი ბაზა განაპირობებს. თანაც სამივე ბანკის მსხვილი აქციონერები უცხოური საფინანსო ინსტიტუტები არიან.

"თიბისი ბანკს" და "საქართველოს ბანკს" დომინანტის პოზიცია აქვთ საბანკო ბაზარზე, ხოლო "პროკრედიტ ბანკს" საკმაოდ მძლავრი პოზიციები აქვს მცირე ბიზნესის დაკრედიტებაში.

Fitch-ის შეფასებით, საქართველოს სუვერენული რეიტინგი BB-ია, სტაბილური პროგნოზით. თუმცა სარეიტინგო სააგენტო გამოთქვამს შეშფოთებას, რომ ქვეყნის ეკონომიკური განვითრების მაჩვენებელი კვლავ დაბალია, ხოლო უცხოურ ვალუტაში დაკრედიტების მაჩვენებელი, სამი ბანკის საკრედიტო პორტფელის განხილვისას, 65-75 პროცენტია.

ეს კი კაპიტალის მაღალ მგრძნობელობას განაპირობებს იმ შემთხვევაში, თუ ლარი კიდევ უფრო გაუფასურდა.

2012 წლის თებერვალში "საქართველოს ბანკმა" ლონდონის ბირჟაზე საკუთარი აქციების ლისტინგში განთავსების უფლება მიიღო.

რაც შეეხება "თიბისი ბანკს" მისი უცხოელი აქციონერები არიან ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (20 პროცენტი), საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (20 პროცენტი), Deutsche Investitions- und Entwicklungsgesellschaft mbH (DEG, 11 პროცენტი) და FMO (3 პროცენტი).

ინფლაციის ახალი მაჩვენებლები

ნინო ნარჩემაშვილი



საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა 2012 წლის ივნისის ინფლაციის მაჩვენებლები გამოაქვეყნა. რომელიც განახლებული სამომხმარებლო კალათის მიხედვით არის შედგენილი. სამომხმარებლო კალათში, რომლის საფუძველზეც ინფლაცია განისაზღვრება, სულ 288 დასახელების პროდუქტია. მისი განახლება 2012 წლის დასაწყისში საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციის საფუძველზე განხორციელდა.

რაც შეეხება საქსტატის მიერ გამოქვეყნებულ ახალ მაჩვენებლებს, 2012 წლის ივნისში, 2011 წლის ივნისთან შედარებით, ინფლაციის დონემ საქართველოში -0,2 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, 12-თვიან პერიოდში აღნიშნული მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა მოახდინა ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელები. ფასები 4,3 პროცენტით შემცირდა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში - 1,42 პროცენტული პუნქტი შეადგინა. ფასების კლების მაღალი მაჩვენებელი აღირიცხა შემდეგ ქვეჯგუფებზე: ხილი და ყურძენი (17,3 პროცენტი); ბოსტნეული, ბაღჩეული, კარტოფილი და სხვა ბოლქვოვანები (14,8 პროცენტი); პური და პურპროდუქტები (8,1 პროცენტი), შაქარი და სხვა ტკბილეული (4,5 პროცენტი).

ამასთან, ფასები გაიზარდა თევზეულზე 8,6 პროცენტით და უალკოჰოლო სასმელებზე 5,7 პროცენტით.

რაც შეეხება ტრანსპორტს, აქ ფასებმა 11,1 პროცენტით მოიმატა. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა წლიური ინფლაციის საერთო მაჩვენებელში 1,17 პროცენტული პუნქტი შეადგინა. აღნიშნულ ჯგუფში ფასების მნიშვნელოვანი მატება სატრანსპორტო მომსახურების ქვეჯგუფზე 23,3 პროცენტით გაიზარდა.

უშუალოდ ივნისის თვის ინფლაციის დონემ კი, მაისთან შედარებით, - 0,9 პროცენტი შეადგინა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ინფორმაციით, მოცემულ პერიოდში ინფლაციის მაჩვენებლის ფორმირებაში ძირითადი გავლენა იქონია ფასების ცვლილებამ შემდეგ ჯგუფებზე: სურსათი და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფზე ფასები შემცირდა 2,1 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ივნისის თვის ინფლაციაში -0,63 პროცენტული პუნქტი შეადგინა.

აღნიშნულ ჯგუფში ფასების მნიშვნელოვანი კლება აღირიცხა ბოსტნეულის, ბაღჩეულის, კარტოფილისა და სხვა ბოლქვოვანების ქვეჯგუფზე (11,9 პროცენტი); რძის, ყველისა და კვერცხის ქვეჯგუფზე (2,6 პროცენტი) და ხილისა და ყურძნის ქვეჯგუფზე (2,5 პროცენტი).

რაც შეეხება ტრანსპორტს, მოცემულ პერიოდში ფასები შემცირდა 1,6 პროცენტით. შესაბამისად, ჯგუფის წვლილმა ინფლაციის საერთო მაჩვენებელში -0,22 პროცენტული პუნქტი შეადგინა. მოცემულ ჯგუფში ფასები საწვავ-საპოხ მასალებზე 4,1 პროცენტით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური სამომხმარებლო ფასების ინდექსის (ინფლაციის) გაანგარიშებას 1992 წლიდან ახორციელებს. ინდექსის მეშვეობით იოზომება ქვეყანაში სამომხმარებლო ფასების საერთო დონის ცვლილება.

სამომხმარებლო ფასების რეგისტრაცია ხორციელდება ყოველი თვის 10-დან 20 რიცხვის ჩათვლით ხუთ ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, გორი, თელავი) საცალო ვაჭრობის და მომსახურების ობიექტებზე, რომელთა მთლიანი რაოდენობა 1300-ს აღწევს.

ინფლაცია მაკროეკონომიკური პრობლემებიდან ერთ-ერთი ყველაზე კარგად შესწავლილი პრობლემაა.

ინფლაცია ნიშნავს, რომ მიმოქცევაში გამოყენებულია ფულის ისეთი მასა, რომელიც შესაბამისი რაოდენობის საქონლითა და მომსახურებით არ არის უზრუნველყოფილი. ასეთ შემთხვევაში, ირღვევა თანაფარდობა გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ერთი და იმავე მოცულობის საქონლისა და მომსახურების შესაძენად მეტი რაოდენობის ფული იქნება საჭირო.

ინფლაცია განსხვავებულად მოქმედებს საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ ფენებზე.

ინფლაციის პერიოდში მკვეთრად იცვლება მოსახლეობის ფულადი ხარჯების სტრუქტურა. მათი უდიდესი ნაწილი იხარჯება სასურსათო საქონლის შესაძენად. ვადიანი სამომხმარებლო საქონლის ხვედრითი წილი მოხმარების საერთო მოცულობაში მცირდება, რაც ცხოვრების დონის დაქვეითების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია.

ინფლაცია უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტის ფორმირებაზე. იზღუდება მისი საშემოსავლო ბაზა, ხოლო ხარჯები იზრდება, რაც იწვევს ბიუჯეტის დეფიციტს, რომლის დასაფარად ხელისუფლება იძულებულია, გაზარდოს სახელმწიფო ვალი, დაუშვას ფასიანი ქაღალდების და ფულის ჭარბი ემისია.

ინფლაცია სავალუტო კრიზისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. იგი განაპირობებს ეროვნული ვალუტის გაუფასურებას, მისი კურსის დაცემას სხვა ვალუტასთან შედარებით, რაც უარყოფითად მოქმედებს ქვეყნის საგადასახდელო და სავაჭრო ბალანსებზე.

რატომ არის ინფლაცია განსაკუთრებით საზიანო და სახიფათო? პასუხი მარტივია - ინფლაცია ბევრ, სხვადასხვა ტიპის პრობლემებს წარმოშობს. ინფლაცია ამცირებს ლარის ღირებულებას, «აძვირებს» ცხოვრებას, კიდევ უფრო აღატაკებს მოსახლეობის ღარიბ ნაწილს, რადგან ახალი ფულის მასა ბაზარზე ერთიანად არ შემოდის და თანაბრად არ ნაწილდება.

ინფლაციის შეჩერება კი არცთუ რთულია. ამას თითქმის ყველა მეტნაკლებად განვითარებული ქვეყანა ახერხებს. მექანიზმი კი ის გახლავთ, რომ უნდა შეწყდეს ზედმეტი ფულის მასის მიმოქცევაში გაშვება, მიუხედავად იმისა, რა მნიშვნელობის პროექტებში იხარჯება ეს ფული.

ფეხბურთის ქომაგობა ნატახტართან ერთად - ევრო 2012 "თბილისის ივენთ ჰოლსა " და "შერატონ მეტეხი პალასში"

ნატახტარის გათამაშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ

კომპანია "ნატახტარი" აქტიურად ცდილობს დაეხმაროს ქართულ სპორტს, ხელი შეუწყოს ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას. ის უკვე სპორტის სხვადასხვა სახეობის ეროვნული ნაკრების სპონსორია და მათ შორის, ფეხბურთისაც. თუმცა, მისი სოციალური პასუხისმგებლობის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია "ქომაგთა კლუბის" ჩამოყალიბება, რომლის მიზანიცაა საქართველოში სპორტის გულშემტაკივრების მხარდაჭერა და წახალისება, რათა ამა თუ იმ გუნდის გულშემატკივრობა სახალისო და რაც მთავარია, კარგად ორგანიზებული იყოს.

8 ივნისიდან, კომპანია "ნატახტარი" "თბილისის ივენთ ჰოლსა" და სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" სასიამოვნო გარემოში ფეხბურთის გულშემატკივრებს ევროპის ჩემპიონატის ერთობლივ ყურებას სთავაზობდა.

შესვენების დროს კი იმართებოდა სხვადასხვა სახის შეჯიბრები და ვიქტორინები.

კომპანია "ნატახტარის" მიერ ორგანიზებული ქომაგობის მხარდამჭერი ყველა საღამო ხმაურითა და მხიარული შეძახილებით იწყებოდა. გულშემატკივრები "ნატახტარის" ცივი ლუდის კათხებით ხელში ელოდნენ თამაშის დაწყებას. სასიამოვნო გარემოში ცნობილი სახეებსაც შეამჩნევდით.

"თბილისის ივენთ ჰოლში" საღამო დიმა ობოლაძეს მიჰყავდა. აფორიაქებული ქომაგების ერთ ნაწილს ფურცელი და საწერი მოემარჯვებინა, - სახიფათო სიტუაციების, პირველი გოლის ავტორის, სავარაუდო მოგებულ-წაგებული გუნდის და სხვა საინტერესო მომენტების პროგნოზირებას ახდენდნენ, გამარჯვებულებს კი პრიზები ელოდათ, მათ შორის ერთი ყუთი ლუდი "ნატახტარი".

"გარდა ამისა, მიმდინარე ევროპის ჩემპიონატის განმავლობაში, ჩვენი კომპანიის ინიციატივით სხვადასხვა ბარებში, რესტორნებსა თუ ლუდხანებში დამონტაჟდა ეკრანი და ყველა მსურველს შეეძლო მისვლა და მისთვის კომფორტულ გარემოში, გართობასთან ერთად უყურებინა ფეხბურთისთვის და მხარი დაეჭირა საყვარელი გუნდისთვის- განმარტავს "ნატახტარის" მარკეტინგის დირექტორი თორნიკე ნიკოლაიშვილი.

გარდა ამისა, კომპანია "ნატახტარმა" ფეხბურთის გულშემატკივრებს EURO 2012-ის ფინალურ მატჩზე დასწრების შანსიც მისცა. ამისათვის კომპანიამ ტრადიციული გათამაშება უკრაინაში ფეხბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ შეხვედრას დაუკავშირა. ლუდის მოყვარულებს სხვადასხვა პრიზების გარდა შეეძლოთ ფინალურიმატჩის საგზურები მოეგოთ. გათამაშებაში იყო 4 საგზური, რომელიცთამაშზე დასასწრები ბილეთების, მგზავრობის ღირებულებისა და სასტუმროს ხარჯების გარდა, ჯიბის ფულს - დღეში 100 დოლარს მოიცავდა.

ნატახტარის გათამშების გამარჯვებულები ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩიდან შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

კონსტანტინე მგალობლიშვილი, გათამაშების გამარჯვებული: **"ძალიან ბედნიერი ვარ. ევროპის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე დასწრების შესაძლებლობა მომეცა. კარგი იქნებოდა იტალიას გაემარჯვა და უფრო ბედნიერი ვიქნებოდი. ნატახტარმა იმდენად გამახარა და ისეთი შთაბჭდილებების ქვეშ დამტოვა, რომ ისევ უკრაინაში ვარ."**

"ძალიან კმაყოფილი ვარ. ნატახტარმა შთაბეჭდილებებით სავსე და საინტერესო დღეები მაჩუქა. არასოდეს არაფერი მომიგია. ლუდის აქტიური მომხარებელი ვარ დაგაამართლა. ევროპის ჩემპიონატზე წასვლის სურვილი ყოველთვის მქონდა, მაგრამ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამ ყველაფერს ასე მოულოდნელად შევძლებდი. ძალიან გახარებული ვარ!" - გვითხრა გვითხრა მეორე გამარჯვებულმა **გიორგი ანდღულაძემ.**

"ძალიან კარგია როცა რაღაცას იგებ, მით უფრო ასეთ გრანდიოზულ პრიზს. ასევე დიდი შთაბეჭდილება როცა ასეთ ისტორიულ თამაშს ესწრები. ძალიან მიყვარს ლუდი, განსაკუთრებით "ნატახტარი". ძალიან გახარებული ვარ," - გვითხრა კიდევ ერთმა იღბლიანმა **გიორგი ტალახაძემ.**

ამინდი

თბილისი	33°C - 21°C	ნიუ-იორკი	32°C - 24°C
მცხეთა	32°C - 16°C	ლონდონი	21°C - 12°C
რუსთავი	27°C - 12°C	პარზი	22°C - 14°C
თელავი	33°C - 16°C	რომი	33°C - 18°C
გურჯაანი	33°C - 16°C	ბერლინი	29°C - 18°C
სიღნაღი	33°C - 18°C	მიუნხენი	23°C - 14°C
წინანდალი	33°C - 16°C	ვენა	33°C - 19°C
ლაგოდეხი	34°C - 16°C	ბუდაპეშტი	34°C - 21°C
გორი	29°C - 13°C	პეკინი	31°C - 23°C
ხაშური	28°C - 14°C	ტოკიო	30°C - 24°C
ბოლნისი	32°C - 15°C	დელი	36°C - 28°C
მარნეული	32°C - 15°C	მოსკოვი	28°C - 15°C
წყნეთი	31°C - 14°C	კიევი	30°C - 18°C
სიონი	25°C - 12°C	მინსკი	30°C - 17°C
მანგლისი	25°C - 14°C	ტალინი	23°C - 18°C
ცხინვალი	27°C - 12°C	თელ-ავივი	31°C - 23°C
ბაკურიანი	20°C - 6°C	ათენი	36°C - 23°C
გუდაური	17°C - 8°C	სტამბული	30°C - 23°C
ბორჯომი	27°C - 14°C	ანტალია	34°C - 23°C
სურამი	28°C - 14°C	ბაქო	30°C - 24°C
დავით-გარეჯი	29°C - 17°C	ერევანი	33°C - 17°C
ახალციხე	25°C - 12°C	ასტანა	32°C - 14°C
აბასთუმანი	19°C - 9°C	ბიშკეკი	32°C - 18°C
თიანეთი	29°C - 14°C	დუბაი	42°C - 32°C
ქუთაისი	29°C - 18°C	დუშანბე	38°C - 21°C
ზესტაფონი	29°C - 13°C	ვილნიუსი	31°C - 17°C
ხარაგაული	29°C - 13°C	იოჰანესბურგი	18°C - 7°C
საჩხერე	29°C - 13°C	კაირო	37°C - 23°C
ჭიათურა	28°C - 15°C	კიშინიოვი	33°C - 21°C
სენაკი	28°C - 17°C	კოპენჰაგენი	23°C - 17°C
ზუგდიდი	28°C - 17°C	ოსლო	28°C - 14°C
ხობი	28°C - 17°C	რეიკიავიკი	16°C - 8°C
ლანჩხუთი	28°C - 18°C	რიგა	29°C - 20°C
ჩოხატაური	27°C - 18°C	სტოკჰოლმი	21°C - 16°C
ოზურგეთი	26°C - 16°C	ტაშკენტი	39°C - 24°C
სოხუმი	27°C - 17°C	ჰელსინკი	24°C - 14°C
ბათუმი	26°C - 17°C	ბარსელონა	26°C - 19°C
ქობულეთი	26°C - 17°C	ბუქარესტი	34°C - 21°C
გონიო	25°C - 14°C	ვარშავა	33°C - 21°C
ურეკი	25°C - 13°C	ლისაბონი	24°C - 17°C
ფოთი	26°C - 18°C	მადრიდი	31°C - 18°C
ონი	27°C - 15°C	ნეაპოლი	31°C - 20°C
ამბროლაური	26°C - 13°C	პრაღა	28°C - 16°C
მესტია	23°C - 14°C	სოფია	32°C - 14°C
უშგული	16°C - 9°C	სტრასბურგი	24°C - 12°C
ომალო	22°C - 8°C	ფრანკფურტი	26°C - 13°C
შატილი	16°C - 9°C	ჰამბურგი	24°C - 17°C

ვალუტის კურსი

AED	10 არაბეთის საამიროების დირჰამი	4.4794
AMD	1000 სომხური დრამი	3.9317
AUD	1 ავსტრალიური დოლარი	1.6901
AZN	1 აზერბაიჯანული მანათი	2.0942
BGN	1 ბულგარული ლევი	1.0578
BRL	1 ბრაზილიური რიალი	0.8165
BYR	10000 ბელორუსული რუბლი	1.9774
CAD	1 კანადური დოლარი	1.6242
CHF	1 შვეიცარიული ფრანკი	1.7216
CNY	10 ჩინური იუანი	2.5919
CZK	10 ჩეხური კრონა	0.8106
DKK	10 დანიური კრონი	2.7808
EGP	10 ეგვიპტური გირვანქა	2.7172
EUR	1 ევრო	2.0679
GBP	1 ინგლისური გირვანქა	2.5746
HKD	10 ჰონკონგური დოლარი	2.1217
HUF	100 უნგრული ფორინტი	0.7250
ILS	10 ისრაელის შეკელი	4.2007
INR	100 ინდური რუპია	3.0232
IRR	10000 ირანული რიალი	1.3643
ISK	100 ისლანდიური კრონი	1.3061
JPY	100 იაპონური იენი	2.0606
KGS	100 ყირგიზული სომი	3.4713
KWD	1 ქუვეითური დინარი	5.8757
KZT	100 ყაზახური ტენგე	1.1008
LTL	10 ლიტვური ლიტი	6.0007
LVL	1 ლატვიური ლატი	2.9484
MDL	10 მოლდავური ლეი	1.3443
NOK	10 ნორვეგიული კრონი	2.7555
NZD	1 ახალზელანდიური დოლარი	1.3216
PLN	10 პოლონური ზლოტი	4.9115
RON	10 რუმინული ლეი	4.6215
RSD	100 სერბიული დინარი	1.8027
RUB	100 რუსული რუბლი	5.1083
SEK	10 შვედური კრონი	2.3746
SGD	1 სინგაპურული დოლარი	1.3012
TJS	10 ტაჯიკური სომონი	3.4525
TMT	10 თურქმენული მანათი	5.7726
TRY	1 თურქული ლირა	0.9116
UAH	10 უკრაინული გრივნა	2.0584
USD	1 აშშ დოლარი	1.6452
UZS	1000 უზბეკური სომი	0.8711
ZAR	10 სამხრეთაფრიკული რანდი	2.0216
KRW	1000 სამხრეთ კორეული ვონი	1.4489
QAR	10 ყატარული რიალი	4.5189

სასაქონლო ბირჟა

ნავთობი	2.75	-0.01	-0.43%
გაზი	2.91	+0.02	+0.55%
ოქრო	1,618.60	-3.20	-0.20%
ხორბალი	799.25	+0.00	+0.00%
S&P/TSX Composite Index	11,913.90	+65.12	+0.55%
Nasdaq Composite Index	2,976.08	+24.85	+0.84%
Dow Jones Industrial Average	12,943.80	+72.27	+0.56%

აფიშა

კლუბები

21:00 - **აგორა ლაივ ბენდი, DJ დათუნა**
სქაიბარი
მეტეხის ქ. 22, მობ: 592 32-32-32
20:30 - **მეიდან ჯაზ ბენდი**
რესტორანი "მეიდანი"
რკინის რიგის ქ. 6, ტელ: 275-11-88; 590 275-11-88
22:00 - **რეზიდენტი DJ თაკო**
ლაუნჯ-ბარი "ქალაქური"
შავთელის ქ. 3 ტელ: 2 365-365
20:00-23:00 - **"ქალაქურის კვარტეტი" - ცოცხალი შესრულებით ქართული ქალაქური**
სიმღერები ასევე უნივერსალური სიმღერები
რესტორანი "ქალაქური"
შავთელის ქ. 3 ტელ: 2 365-365
22:00 - **გიო ხუციშვილი & DJ Dachi**
კლუბი "ქალაქური"
შავთელის ქ. 3 ტელ: 2 365-365
20:00-23:00 - **ქართული ცეკვები**
რესტორანი "ძველი სახლი"
სანაპიროს ქ. 3. ტელ: 2 365-365
22:00 - **მღერის შოუ-ბიზნესის ჩაუქრობელი ვარსკვლავი გია სურამელაშვილი და მუსიკა ცოცხალი შესრულებით: საესტრადო ანსამბლი "მღვიმე" (4 ბიჭი და გოგო), ტამ-ტამი, ვიოლინო, საქსაფონი, კინგი**
რესტორანი "მღვიმე"
მტკვრის მარცხენა სანაპირო (მაღაზია "რივერსაიდის" გვერდით) ტელ: 2 305 558/ 2 359 540; 599 56 60 72
19:00 - **რესტორანი "ბერმუხა" განახლებული საკონცერტო შოუ-პროგრამით, მაესტრო გია ყარალაშვილის ხელმძღვანელობით. ცოცხალი**
შესრულება-როიალი (გია ყარალაშვილი), საქსაფონი, აკორდეონი, ტამტამები, კლავიში, გიტარა და ფანდური. გაატარეთ სასიამოვნო
დრო რესტორან "ბერმუხასთან" ერთად.
რესტორანი "ბერმუხა"
აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ. ტელ: 259 69 69; მობ: 598 59 69 69
21:00 - **მაია ბარათაშვილი**
კაფე "კალა"
ერეკლე II ქუჩა N 8/10, მობ: 599 79-97-37
21:00-24:00 - **ჯაზ ბენდი**
რესტორანი "შარდენის 12"
შარდენის ქ. 12, ტელ: 293-15-56; მობ: 577 480-460
22:00-01:00 - **ჯგუფი "Comic Condition"**
ტავერნა "სკარლეტ საილსი"
ლესელიძის ქ. 25 ტელ: 293-10-28
21:00-24:00 - **ჯგუფი "ზარები" (ცნობილი ჰიტები)**
პაბი "დუბლინი"
ახვლედიანის ქ. 8, ტელ: 298-44-67

თეატრები

19:45 - **"გაუმარჯოს ბუშონს"** -
(ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი)
რუსთაველის თეატრი (მცირე სცენა)
რუსთაველის გამზ. 17 ტელ: 272-68-68
19:00 - **"საძაღლე"** -
(ბილეთის ფასი - 5, 8, 10 ლარი)
თავისუფალი თეატრი
რუსთაველის 2 ტელ: 298-58-21

გამოფენები

"ახალი გალერეა" გთავაზობთ თანამედროვე მხატვრების გამოფენას "არმაზი, მზესუმზირა, ზულფიზარი და კაბა" - (გალერეა მუშაობს ყოველდღე ორშაბათის გარდა 12:00 საათიდან 19:00 საათამდე)
"ახალი გალერეა"
ბესიკის ქ. 26. ტელ: 2922-699
გალერეა "ვანდა" გიწვევთ თენგიზ მარის პერსონალურ გამოფენაზე "უცხო ხილი" -
(გალერეა მუშაობს ყოველდღე 12:00 - 19:00 საათამდე)
გალერეა "ვანდა"
ჭონქაძის ქ. 14. ტელ: 293-42-86, 599 56-99-71
12:00-19:00 - **ბაია გალერეა წარმოგიდგენთ ამერიკაში მოღვაწე ქართველი მხატვრის ვახო მუსხელიშვილის პერსონალურ გამოფენას - "ალტამირა"**
ბაია გალერეა
შარდენის ქ. 10 ტელ: 275-45-10
თიბისი ბანკის საიუბილეო პროექტის "20წელი/12 თვე" ფარგლებში, თიბისი არტ გალერეაში ცნობილი ქართველი მხატვრის, სცენოგრაფისა და წიგნის ილუსტრატორის, მამია მალაზონიას ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობს -
(გალერეა მუშაობს: ორშაბათი-პარასკევი 12:00-20:00 სთ.)
თიბისი არტ გალერეა
მარჯანიშვილის ქ. 7, ტელ: 227-27-27
სტენლი გრინის ფოტო-გამოფენა "ჩეჩნეთის გზაზე" 1993 - 2003
დ. შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეა
რუსთაველის გამზ. 11

კროსვორდები



		9	5		2		8	
6								9
		5		6	9			
	6		1				9	2
8	9				3		7	
			4	1		8		
7								5
	4		3		7	1		

		9	5		2		8	
6								9
		5		6	9			
	6		1				9	2
8	9				3		7	
			4	1		8		
7								5
	4		3		7	1		

								8
			3			4	2	
	4	5		1				
5		8	4			1		
3			9		2			5
		6			3	8		9
				7		3	8	
	3	1			9			
6								

"ტორპედომ" ყაზახებს ქუთაისურად უმასპინძლა

ევროპის ლიგის
პირველი საკვალიფიკაციო
ეტაპი

"ტორპედო" (ქუთაისი) -
"აკტობე" (ყაზახეთი) 1:1
გოლები: 1:0 საბანაძე (62),
1:1 ბიკმაევი (82)

ახლოს იყო ქუთაისის "ტორპედო" ევროსარბიელზე დაბრუნება მოგებით აღენიშნა, მაგრამ გია გეგუჩაძის შეგირდებმა ვერ შეძლეს ყაზახური "აკტობეს" დამარცხება და მატჩის მსვლელობიდან გამომდინარე, ამაში გასაკვირი არაფერი იყო.

მარატ ბიკმაევის საპასუხო გოლი

ყაზახეთის ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი კლუბი მეორედ არგუნა მეტოქედ წილისყრამ ქართულ გუნდს - ორი წლის წინ "აკტობემ" რუსთავის "ოლიმპი" გამოთიშა ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას და ქუთაისში მატჩის წინ გამართულ პრესკონფერენციაზე მაშინდელი შეხვედრის ერთ-ერთმა მონაწილემ და ყაზახთა კაპიტანმა სამატ სმაკოვმა თქვა, მაშინ უპირატესობა ფიზიკური გამძლეობის ხარჯზე მოვახერხეთო."აკტობეს" მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ მუხანოვმა კი განაცხადა, ტრადიციას არ დავარღვევთ, სათამაშო სტილს არ შევცვლითო და იქვე დააკონკრეტა - ჩვენ კომბინაციურ ფეხბურთს ვანიჭებთ უპირატესობასო.

პირველ ტაიმში სტუმრებმა მართლაც დალაგებული და კომბინაციური ფეხბურთი აჩვენეს ქუთაისის სტადიონზე შეკრებილ მრავალრიცხოვან გულშემატკივარს და რეალური საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმცა მიგინეიშვილთან პირისპირ დარჩენილმა მარატ ბიკმაევმა კარში დარტყმას პასი ამჯობინა და მასპინძლები დავით გამეზარდაშვილმა იხსნა. სახიფათო მომენტები გია გეგუჩაძის შეგირდებმაც შექმნეს, ტაიმის დასაწყისში ნიკა საბანაძემ შორეული დარტყმით სცადა გულშემატკივრის გახარება, ხოლო მიწურულს - ჯერ გიორგი კუხიანიძის ასევე შორეული დარტყმა მოიგერია სტუმართა მეკარემ, მერე კი რევაზ გოცირიძეს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ საჯარიმოს ხაზიდან მისი დარტყმული ბურთი დიდი მანძილით ასცდა ყაზახთა კარს.

მეორე ტაიმში მატჩის ხასიათი არ შეცვლილა - ერთი შეხედვით თანაბარ თამაშში უფრო ორგანიზებულად სტუმართა გუნდი გამოიყურებოდა, მაგრამ გოლი კი საკუთარ კარში მიიგეს - 62-წუთზე ყაზახთა საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი საბანიძეს მიუვიდა, რომელმაც მეკარისგან მარჯვენა კუთხეში დაარტყა, ბურთი ჯერ ძელს მოხვდა, მერე მეკარეს ზურგში და ... ანგარიში გაიხსნა.

მოვლენების ასეთი განვითარება, ცხადია, ჩვენებურებს აძლევდათ ხელს, ეგ კი არა, ალბათ, ბევრს იმის იმედიც გაუჩნდა, რომ საპასუხო მატჩის წინ ქუთაისელები ორბურთიან უპირატესობას მოიპოვებდნენ, მაგრამ სტუმართაგან ყველაზე აქტიური და დაუღლელი მარატ ბიკმაევის ოც წუთში გატანილმა გოლმა "ტორპედოს" გამარჯვების იმედი გადაუწურა.

მატჩის დასრულებამდე ათიოდ წუთი რჩებოდა და გეგუჩაძის შეგირდებმა გაიბრძოლეს, მაგრამ "აკტობეს" დაცვა და ნახევარდაცვა უშეცდომოდ თამაშობდა, მეტიც, ბოლო წუთებში დაწინაურებაც შეეძლო.

"ტორპედო" კარგა ხნის შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ევროსარბიელს და, ცხადია, მწვრთნელ-ფეხბურთელები და ქომაგები დაბრუნებას მოგებით გეგმავდნენ - ამჯერზე არ გამოვიდა, ალალად ვთქვათ, ყაზახური გუნდი მარცხს არ იმსახურებდა, თუმცა ქუთაისელებს ცდა არ დაუკლიათ, მაგრამ ვერ შეძლეს. ერთი კვირის თავზე საპასუხო მატჩია - გია გეგუჩაძეს და "ტორპედოს" ამ ხნის მანძილზე იმ შეცდომების გამოსწორებაზე მოუწევთ მუშაობა, რომელიც გუშინ დაუშვეს.

კლიჩკო ტომპსონმა შეაფიქრიანა

გიგა გურასაშვილი

ტონი ტომპსონთან ჩხუბამდე, ვლადიმირ კლიჩკო აღნიშნავს, რომ ამერიკელმა მეტოქემ იცის მისი სუსტი და ძიერი მხარეები. ტომპსონი კი თავის მხრივ აცხადებს, რომ იცის, როგორ ეჩხუბოს კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO), ასოციაციის (WBA), საერთაშორისო ფედერაციისა (IBF) და საერთაშორისო ორგანიზაციის (IBO) უკრაინელ ჩემპიონს, ხოლო კლიჩკოს მწვრთნელი ემანუელ სტიუარდი მიიჩნევს, რომ ტონი სხვა დანარჩენებთან შედარებით ყველაზე საშიში მეტოქეა. უკრაინელისა და ამერიკელის დაპირისპირებამდე კი ერთი დღე რჩება. 7 ივლისს ბერნის სტადიონზე მისულთ მძიმეწონოსანთა ჩხუბი ელით.

ვლადიმირ კლიჩკომ (57 მოგება, აქედან 50 ნოკაუტით და 3 წაგება) მატჩამდელ პრესკონფერენციაზე თავი დაიზღვია და თქვა, რომ რთული ორთაბრძოლა ელის. უკრაინელი გიგანტის აზრით, სირთულის აზრი იმაშია, რომ მეტოქე მას კარგად იცნობს, რომელსაც ჰქონდა საშუალება შეესწავლა ჩემპიონის სუსტი და ძლიერი მხარეები. საქმე ისაა, რომ ტონი ტომპსონი (36 მოგება, აქედან 24 ნოკაუტით და 2 წაგება) ერთი ხანობა ვლადიმირ კლიჩკოს უწევდა სპარინგობას.

"2003 წლიდან ტონი ჩემი სპარინგ-პარტნიორი იყო. ამიტომაც თავით-ფეხებამდე მიცნობს, - ვითარებაში გვარკვევს კლიჩკო. ის უკეთ მიცნობს, ვიდრე სხვა ნებისმიერი მეტოქე. ტონიმ კარგად იცის რა ლეის ჩემგან რინგზე და აქედან გამომდინარე ყველაფრისთვის კარგად მომზადებული იქნება. ამასთან დიდი ალბათობაა, რომ მისთვის ეს ჩხუბი ბოლო შანსი იყოს ჩემპიონის ქამრის მოსაპოვებლად. ასეთი მეტოქეები ყოველთვის ძალიან საშიშები არიან".

გარდა ამისა, ვლადიმირ კლიჩკო იმასაც აღნიშნავს, რომ მეტოქისგან მეტად აგრესიულ ორთაბრძოლას ელის.

"ვფიქრობ, ტომპსონი ძალზე აგრესიულად იმოქმედებს მთელი ორთაბრძ ლის განმავლობაში, - უკრაინელის სიტყვებს გადმოგვცემს Stern. - მართალი გითხრათ, ვისურვებდი, ვინმე ახალს შევხვედროდი. ისეთს, რომელთანაც ადრე არ მქონია საქმე. მაგრამ არჩევანიც არ მქონია. ასე რომ, ტონისთან მომიწევს დაპირისპირება. რთული ორთაბრძოლა მექნება, მაგრამ ტიტულები მაქვს დასაცავი. რამდენადაც რთული არ უნდა იყოს მიზნის მიღწევა, მე მას უნდა მივაღწიო".

კლიჩკოს სიტყვების დასტურად, ტომპსონი აცხადებს როგორ უნდა იმოქმედოს სახელოვანი უკრაინელის წინააღმდეგ: "არანაირი პირობის დადებას არ ვაპირებ და არც პროგნოზების გაკეთებას ვგეგმავ. მხოლოდ ერთი რამის თქმა შემიძლია: მაქვს სამოქმედო გეგმა კლიჩკოს წინააღმდეგ. და რა გამოვა აქედან ეს უკვე ორთაბრძოლისას გაირკვევა.

ერთი რამ კი აქედანვე მაქვს გარკვეული: ვაპირებ შევუტიო და საკუთარი ჩხუბი მოვახვიო თავს. დაცვით ჩხუბს და ვლადიმირის შეცდომების დალოდებას არ ვაპირებ. მასთან ასე ჩხუბი არ შეიძლება. ვეცდები ინიციატივა ავიღო და დომინანტის პოზიცია დავიკავო".

კლიჩკო VS ტომპსონი აქამდეც ყოფილა. 2008 წელს უკრაინელს საკუთარი სპარინგ-პარტნიორი უკვე ჰყავს დამარცხებული. მაშინდელი წაგების შემდეგ ტომპსონმა საკუთარი მარცხი ტრავმას დააბრალა. ამჯერად ამერიკელს არანაირი მიზეზი არ ექნება შესაძლო წაგება ტრავმას დააბრალოს, რადგან სრულიად ჯანმრთელია.

ამასობაში უკრაინელის ამერიკელი დამრიგებელი ემანუელ სტიუარდი ტონისთან ჩხუბს უკრაინელი ჩემპიონისთვის მეტად სარისკოდ მიიჩნევს: "ტომპსონთან მაშინდელი დაპირისპირების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ მასთან აღარ შევხვდებოდით, რადგან ძალზე უხერხული მეტოქეა - მასთან ჩხუბი ძალზე რთული იყო. ვფიქრობ ახლა ძალიან უხეში ცხუბის მოსმწრე გავხდებით. ტომპსონი ყველა შესაძლო მეტოქეთაგან ყველაზე საშიშია".

ბოლქვაძემ მოცურავეთა ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო მოიპოვა

ირაკლი ბოლქვაძემ ანტვერპენის ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა! მოხსნა საქართველოს რეკორდი და გახდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მოცურავე, რომელმაც ევროპის ჩემპიონატზე მედალი მოიპოვა. საგულისხმოა ისიც, რომ 17 წლის მოცურავემ წარმატებას იმ დისციპლინაში მიაღწია, რომელმაც მას დებრეცენის ევროპის ჩემპიონატზე ლონდონის ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოაპოვებინა. საუბარია 200 მეტრზე ბრასით ცურვაში. ერთი სიტყვით, ირაკლი ბოლქვაძემ ამავე დისციპლინაში 2:15.46 წუთში ბრინჯაომდე გაიკვალა გზა, ქართული ცურვის ისტორიაშია კი ახალი ფურცელი დაიწერა.

და კიდევ, ანტვერპენის ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატს ირაკლისთვის ერთგვარი წინასაოლიმპიადო მოსამზადებელი დატვირთვაც აქვს.

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ბრასი
200 მ.

1. მარატ ამალტდინოვი (რუსეთი)	2:13.15
2. როს მურდოკი (დ. ბრიტანეთი)	2:14.53
3. ირაკლი ბოლქვაძე (საქართველო)	2:15.46

ბალოტელი გასატყეპია

ინგლისურ კლუბ "სუინდონ თაუნის" ქარიზმატულ იტალიელ მწვრთნელს პაოლო დი კანიოს მიაჩნია, რომ იტალიის ნაკრების ფორვარდი მარიო ბალოტელი ეგოისტია.

"ის უბრალოდ ეგოისტია, რომელიც პირველ რიგში კარგად უნდა გატყიპონ. გერმანიასთან მატჩში მან ორი მნიშვნელოვნი გოლი გაიტანა, მერე კი თამაშის დასასრულს ელოდა, რათა ეს გოლები აღენიშნა. მარიომ თამაშს თავი დაანება. ის ფიქრობს, რომ სამყარო მის გარშემო ტრიალებს. ბალოტელის მსგავსი ტიპები საქებარ სიტყვებს კი არა, კარგად მიტყეპვას იმსახურებენ. ნაკრები ფინალამდე ანტონიო კასანომ მიიყვანა და არა ბალოტელიმ", - ამბობს დი კანიო.

უეფას კიელინის ტრავმა 420 ათასი დაუჯდა

ევროპის ჩემპიონატის ფინალში მიღებული ჯორჯო კიელინის ტრავმა უეფას 420 ათასი ევრო დაუჯდა. ინტერნეტ-გამოცემა F-ის ცნობით, ტურინული კლუბი თავისი მოთამაშის დაშავების გამო კომპენსაციის სახით სწორედ ამ თანხას მიიღებს. მიმდინარე წლის მარტში ევროპის კლუბების ასოციაციამ და უეფამ გააფორმეს მემორანდუმი, რომლის მიხედვით ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო დათანხმდა, რომ ნაკრებში ტრავმის მიღების შემთხვევაში კლუბები მიიღებდნენ კომპენსაციას. ტურინელთა მცველი ჯორჯო კიელინი კი ესპანეთთან ფინალური მატჩის პირველ ტაიმში დაშავდა და მოედანი დატოვა.

16 წლამდელთა ნაკრების პირველი მარცხი სლოვაკეთში

საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრებმა სლოვაკური ტურნე დაასრულა. პირველი ორი მოგების შემდეგ გია კაზანჯიანის გუნდი უნგრელ თანატოლებთან დამარცხდა. მატჩის მხოლოდ პირველი მეოთხედი აღმოჩნდა თანაბარი, რის შემდეგაც უნგრელებმა იძალეს და სოლიდური სხვაობით - 68:37 გაიმარჯვეს. ქართველებს უჭირდათ ტანმაღალი უნგრელების წინააღმდეგ თამაში. კაზანჯიანის თქმით, მეტოქეს 207, 208 სმ სიმაღლის მოთამაშეები ჰყავდა, რაც უნგრელებს დიდ უპირატესობას ანიჭებდა. მათ კარგად გამოიყენეს ეს კოზირი და საბოლოო ჯამში მოხსნებში საგრძნობლად გვავჯობეს.

პირველი მეოთხედი უნგრელთა მინიმალური უპირატესობით - 12:11 დასრულდა. ამ 11 ქულიდან 7 ზაქრაძის ანგარიშზე იყო, თუმცა, უნგრელთა გამთამაშებელმა მოახერხა ჩვენი ბომბარდირის განეიტრალება და მეორე მეოთხედიდან ქართველების საქმე უკან წავიდა.

საფრანგეთის ნაკრები, შესაძლოა, ზიდანმა ჩაიბაროს

ევრო 2012-ის შემდეგ ლორან ბლანმა საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტი დატოვა. ფრანგული ფეხბურთის მამებს ბლანის შემცვლელი ჯერ არ უპოვიათ. ერთადერთ კანდიდატად დიდიე დეშამი განიხილებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვითარება შეიცვალა. ახლა ნაკრებში ზინედინ ზიდანის მიწვევაზე საუბრობენ. გაზეთ L'Equipe-ის ინფორმაციით, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ნოელ ლე გრეს ნაკრებში სწორედ ზიდანის მიყვანა სურს. 43 წლის "ზიზუ" ახლა მადრიდის "რეალის" სპორტული დირექტორის თანამდებობაზე მუშაობს. ის მწვრთნელი არასდროს ყოფილა.

"ოქროს ბურთს" ყველაზე მეტად კასილასი იმსახურებს

ვინ მოიგებს "ოქროს ბურთს"? ზედიზედ მეოთხედ ლიონელ მესი თუ არგენტინელის ჰეგემონიას კრიშტიანუ რონალდუ დაარღვევს? როდესაც "ოქროს ბურთზეა" საუბარი, ძირითადად სწორედ ამ ორ ფეხბურთელს ახსენებენ. ამას წინათ იტალიის ნაკრების ლიდერმა ანდრეა პირლომ (რომელიც მიმდინარე სეზონში თავადაც იმსახურებს ამ ტიტულს) განაცხადა: "სანამ რონალდუ და მესი ფეხბურთს თამაშობენ, "ოქროს ბურთს" ერთ-ერთი მათგანი მოიგებს და ეს სწორიც იქნება". თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც. მაგალითად, გამოცემა "ფრანს ფუტბოლს" (ცნობისთვის: სწორედ ამ გამოცემის დაარსებულია "ოქროს ბურთი") მიაჩნია, რომ მიმდინარე სეზონში ეს პრესტიჟული ჯილდო იკერ კასილასმა უნდა მოიგოს. ესპანეთის ნაკრებისა და მადრიდის "რეალის" მეკარემ მართლაც იდეალური სეზონი გამართა. გახდა ესპანეთის ჩემპიონი და მოიგო ევროპის პირველობა. თანაც, "რეალის" კაპიტანიც იყო და "ფურია როხასიც". "თუ გავითვალისწინებთ კასილასის სათამაშო კლასს, მის ოსტატობას და გავლენას გუნდზე, შეიძლება ითქვას, რომ სწორედ ის იმსახურებს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულს", - წერია "ფრანს ფუტბოლის" ფურცლებზე.

ჩაბი ალონსო: "ვერთობი, როცა გვაკრიტიკებენ"

ესპანეთის ნაკრების შემადგენლობაში ორჯერ ევროპის ჩემპიონატისა და ერთხელ მუნდიალის მომგები ჩაბი ალონსო გამოცემა "გარდიანისთვის" მიცემულ ინტერვიუში ამბობს, რომ ესპანეთის ნაკრების თამაში იდეალურს მიუახლოვდა და როდესაც "ფურია როხას" კრიტიკას ისმენს, ეცინება.

ჩაბი ალონსო

- ევრო 2012-ის ფინალში იტალიის ნაკრების დამარცხებით თქვენი ნაკრები გაუთანაბრდა ისეთ ლეგენდარულ გუნდებს, როგორიც 1958 და 1970 წლების მუნდიალებზე იყო ბრაზილის ნაკრები...

- არ ვიცი. ის მატჩები არ მინახავს. იმ დროს დაბადებულიც არ ვიყავი. სხვადასხვა ეპოქაზე ვსაუბრობთ და გუნდების შედარება მართებულად არ მიმაჩნია. თუმცა, ფაქტია, რომ, ფინალის დიდი ანგარიშით მოგების წყალობით, ისტორიაში შევედით.

- ევროპის ჩემპიონატის ფინალში თქვენამდე ოთხი გოლი ვერავინ გაიტანა. შეიძლება თუ არა ესპანეთის ნაკრების თამაშს იდეალური ვუწოდოთ?

- არავინ ელოდა, რომ თამაში ასე დასრულდებოდა. მატჩის მსვლელობას მთლიანად ვაკონტროლებდით. ალბათ, ჩვენი თამაში მართლაც იდეალურთან მიახლოებული იყო.

- ფინალში დამაჯერებელი გამარჯვება იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ სკეპტიკოსები საბოლოოდ დაადუმეთ?

- არა, ჩვენთვის ასე არ არის. მაშინაც კი, როცა გვაკრიტიკებდნენ, დარწმუნებული ვიყავით, რომ ყველაფერს სწორად ვაკეთებდით. ვერთობი, როცა ჩვენი კრიტიკა მესმის.

- ფეხბურთელები ხშირად ამბობენ, რომ გაზეთებს არ კითხულობენ.

- მე ვკითხულობ. თუმცა, წაკითხული ჩემს აზრს არ ცვლის. კრიტიკას ფილოსოფიურად ვუყურებ, რადგან ყველა ადამიანს აქვს თავისი აზრი. მერწმუნეთ, საკუთარი აზრის გაზეთის ფურცლებზე გამოხატვა გაცილებით ადვილია, ვიდრე ფეხბურთის თამაში, თანაც, მუდამ უმაღლეს დონეზე. თუმცა, ისიც უნდა ვთქვა, რომ დიდი ნაწილი, რაც ჩვენზე იწერება, სიმართლეა.

- ისიც, რომ ესპანეთის ნაკრები ხშირად მოსაწყენ ფეხბურთს თამაშობს?

- დიახ.

- ალბათ ხალხს არ ესმის, რამდენად ძნელი იყო ევროპის ჩემპიონატის მოგება.

- დიახ. ჩვენ მთელი ტურნირი მაღალ დონეზე ჩავატარეთ. მაგალითად, პორტუგალიასთან ცუდად არ გვითამაშია, მაგრამ ბურთს ჯიუტად არ უნდოდა კარში შესვლა. მაყურებელს არ ესმის, რაოდენ ძნელია მუდამ ბურთის კონტროლი. ადვილად ნამდვილად არ მოგვიგია. ვიღაცა ფიქრობს, რომ ფინალი ჩვენთვის ადვილი იყო, მაგრამ ასე არ არის.

- ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელები თითქოს მშვიდად გამოიყურებოდნენ.

- შეიძლება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ წამით მაინც ვკარგავდით კონცენტრაციას. სრულად ვიყავით მობილიზებულები. სხვა გუნდებთან შედარებით, ჩვენი უპირატესობა ის არის, რომ ფეხბურთელებს უსიტყვოდ გვესმის ერთმანეთის. ზოგიერთ რამეს ავტომატურად ვაკეთებთ.

- რა განსხვავებაა 2008 წლის ფორმაციისა და დღევანდელ ნაკრებს შორის?

- არის გარკვეული ნიუანსები. მაგალითად, 2008 წელს ორი ფორვარდით ვთამაშობდით. ახლა ვისენტე დელ ბოსკე უფრო მეტ ნახევარმცველს იყენებს.

- ამ ნაკრებს პერსპექტივაც დიდი აქვს. 30 წელს გადაცილებული ფეხბურთელი გუნდში მხოლოდ სამია - თქვენ, ჩავი და იკერ კასილიასი.

- მთავაზობთ, ახლავე პენსიაზე გავიდე? თუ გუნდის საშუალო ასაკს გავითვალისწინებთ, ესპანეთის ნაკრებს მართლაც კარგი პერსპექტივა აქვს. იმედია, საფეხბურთო მწვერვალზე კიდევ დიდხანს დავრჩებით, თუმცა, ამის თქმა გაცილებით ადვილია, ვიდრე გაკეთება.

- ძალიან ძნელია?

- დიახ, მაგრამ ჩვენ მაინც შევძლებთ. ჩვენამდე ზედიზედ სამი დიდი ტურნირი არავის მოუგია. ჩვენ ეს შევძელით. შევძლებთ თუ არა ორი წლის შემდეგ ბრაზილიაში მუნდიალის მოგებას? ვნახოთ. რატომაც არა.

სტივ ნეში და "ლეიკერსი"

ზურაბ თალაკვაძე

სტივ ნეში კობისთან მივიდა

სტივ ნეში რამდენიმე დღეში ტურინში ჩადის. სტივის მეგობარი, კიდევ ერთი გახუნებული გენიოსი, ალექს დელ პიერო რაღაც საქველმოქმედო ამბებს აწყობს და სტივი დაპატიჟებულია. როგორც ყოველთვის. მერე ამერიკული საკალათბურთო ქარი დაუბერავს და დელ პიერო სტივის კემპზე ჩავა. კიდევ რამდენიმე მეგობართან ერთად. ბოლო წლებში სულ ასეა. კარგი ტრადიცია, რომელიც უფრო მეგობრების გახსენებაა, ვიდრე პიარი. ძმაკაცები ერთობიან და თან კარგ საქმეს აკეთებენ. დელ პიერო "ლეიკერსის" გულშემატკივარია. კობის, კალიფორნიის, ოქროსფერი ისტორიის და ჯეკ ნიკოლსონის გულშემატკივარი. თან სტივისთან ძმაკაცობს. ალესანდროს რაღაც თვალსაზრისით გაუმართლა.

"ლეიკერსში" სტივ ნეში მივიდა.

"ფინიქსმა" კალიფორნიელებს ნეში მისცა. კალიფორნიიდან "ფინიქსში" შემდეგი დრაფტებიდან ოთხი კარგი ბიჭი წავა. "ლეიკერსმა" გაცვლა 3 მილიონი დოლარით შეკრა. "ლეიკერსი" მომავალს მომავალში ვერ ხედავს. კალიფორნიაში ეგრევე იგებ. ან ეგრევე ვერ იგებ და მერე გუნდი იშლება. კობის გარდა, ყურს ყველას აუწევენ. იქ ეს ჩვეულებრივი ამბავია. ნეში ყველაზე გაპიარებულ საკალათბურთო ორგანიზაციაში მივიდა.

"ფინიქსში" დარჩენა ცუდი აზრი არ იყო. ნეშმა "სანზის" ბოსებთან წინასწარი კონტრაქტიც გააფორმა. ორი სეზონი, 20 მილიონი დოლარი, მეგობრობა და მთელ არიზონაში უფასო ჩიზბურგერი. კარგი შეთავაზება იყო. ნეშიც კარგი ბიძაა და სტივი მაინც კალიფორნიაში წავიდა. "ფინიქსმა" კარგი ბიჭი კარგ გუნდში გაუშვა. არა, "ფინიქსმა" ლეგენდა ლეგენდაში გაუშვა. "ლეიკერსი" კალათბურთის ჰოლივუდია და ნეშმა ოსკარი კობისთან ერთად უნდა დაირტყას.

ნეშის გადაბირება სამ გუნდს სურდა.

1. "ნიქსი". კარმელო ენტონი ბევრს ისვრის და ნეშის პასებით უფრო აკურატულად ითამაშებდა. სტივიმ სპაიკ ლის ბანდაში გადასვლა არ ისურვა.

2. "დალასი". დირკ ნოვიცკი სტივის ყოველდღე ტექსტურ შეტყობინებებს უგზავნის, ჩემთან დაბრუნდი. მეტი რა გითხრა, შენსავით, განუვითარებელი თინეიჯერივით ვივლიო. ჩაჩაჩული შარვალი, აბურძგნილი თმა და სხვადასხვა ფერის წინდები. დირკმა სტივი ვერ დაიყოლია.

3. "ტორონტო". აქ ყველაზე კარგი კუში იხსნებოდა. კანადაში კანადელს სამწლიან კონტრაქტზე დაუძახეს. სტივის ფურცელზე ავტოგრაფი რომ დაესვა, სამ სეზონში 36 მილიონს მიიღებდა. 38 წლის კაცისთვის არარეალურად კარგი პირობებია. 38 წლის კაცმა უარი თქვა.

"ლეიკერსმა" ნეშს დაუმესიჯა. შეტყობინებაში სამი სიტყვა ეწერა: კობის ძალიან მოსწონხარ. სტივი გაწითლდა, გახუნებულ უკანალზე ჟრუანტელმა დაუარა. ნეში კობისთან შეხვედრისთვის მზადებას იწყებს. კობისთან შეხვედრისთვის კარგად უნდა მოემზადო. თუ არ მოეწონები, მაშინვე ლიფტში შეგიყვანს და იქ რაც ხდება, კობის გარდა, არავის არ მოსწონს. ნეშმა ეს გაითვალისწინა.

ნეში ადრე, 16 წლის წინ, დრაფტზე "ფინიქსმა" აიყვანა. სტივიმ პანკივით დაიწყო და მიკ ჯაგერივით გააგრძელა. ცუდი, არასრული და დასალაგებელი სეზონები "ფინიქსში", "დალასში". პირველ ოთხ რეგულარულში ნეში საშუალოდ 10 ქულაზე მეტს ვერ იღებს (3.3, 9.1, 7.9, 8.6). 2000/01 - სტივის მეტ წუთში (34.1) უკეთესი სტატისტიკა (15.6+7.3 პასი) მოაქვს და ნეში გახურდა. სტივი საკუთარ თავს ენდო და გაიქცა. გუნდიც გაიქცა. დირკ ნოვიცკიც. მარკ კიუბანმა ყველაზე არანორმალური და არასტანდარტული ფლეიმეიქერი გაშანსა. დირკმაც.

2004/05 - სტივი მიდის, ბრუნდება არიზონაში და "ფინიქსთან" ერთად ორჯერ გახდა რეგულარულის MVP. პირველივე სეზონში 15.5 ქულა და 11.5 პასი. მერე 18.9 ქულა (კარიერის ჰაილაითი) და 10.5 პასი. არიზონამ ტვისტი იცეკვა და სტივ ნეში კალათბურთის, მტვრიანი შტატის ფრედ ასტერი იყო. უბრალოდ, ნეში (ამარე სტაუდმაიერთან, შონ მერიონთან, შაკთან, გრანტ ჰილთან, ლეანდრო ბარბოსასთან ერთად) ვერ იგებდა დიდ სერიებს. დიდ სერიებში ნეშს დიდი გუნდი, ტიმ დანკანის "სან ანტონიო" აყენებდა კუთხეში. ფლეი-ოფში ნეშის ორკესტრი კარგი მოსასმენი არ იყო. ნეში უკვე "ლეიკერსთან" ერთად შეუბერავს.

კალიფორნიაში მივიდა კრის პოლი და იმპოტენტი "კლიპერსი" აზრზე მოვიდა. კალიფორნიაში მივიდა კანადელი პროფესორი და კობი დაისვენებს. დასვენებული კობი დაკუნთულ ლებრონზე უფრო დიდი მხეცია.

ნეშმა კარგი არჩევანი გააკეთა.

სტივიმ "ლეიკერსში" 16 649 (14.5) ქულა, 9 916 (8.6) პასი მიიტანა.

სტივ ნეში რამდენიმე დღეში ტურინში ჩავა. სტივის მეგობარი, კიდევ ერთი გახუნებული გენიოსი, ალესანდრო დელ პიერო რაღაც საქველმოქმედო ამბებს აწყობს და სტივიც დაპატიჟებულია. როგორც ყოველთვის. მერე ამერიკული საკალათბურთო ქარი დაუბერავს და დელ პიერო სტივის კემპზე ჩავა. კიდევ რამდენიმე მეგობართან ერთად. ბოლო წლებში სულ ასეა. კარგი ტრადიცია, რომელიც უფრო მეგობრების გახსენებაა, ვიდრე პიარი. ძმაკაცები ერთობიან და თან კარგ საქმეს აკეთებენ. დელ პიერო "ლეიკერსის" გულშემატკივარია. კობის, კალიფორნიის, ოქროსფერი ისტორიის და ჯეკ ნიკოლსონის გულშემატკივარი. თან სტივისთან ძმაკაცობს. ალესანდროს გაუმართლა.

"ლეიკერსში" სტივ ნეში მივიდა.

ნეშსაც გაუმართლა.

ალბათ, "ლეიკერსსაც".